

140 / 3.  
1951

1951年5月  
5日



3. 1. 1. 6. 1. 1.

5  
1951



# პ ი თ ნ ე რ ი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის  
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი



ქართული  
კომუნისტური  
პარტია

№ 5 მაისი

საბლიტგამი

წელიწადი XXV

П И О Н Е Р Ы

Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии



## ცხრა მაისი

ცხრა მაისის ვეიყვარს დილა,  
შემკობილი ათასფერად,  
მისმა მოსვლამ ნორჩი გული  
რა სიამით აგვიძგერა.

გადახედეთ, კიდით კიდე  
სიხარულის დაქრის ხმები,  
გამარჯვების ნათელ დილას  
გამარჯვებით ვეგებებით.  
განა მარტო ჩვენ გვალეღვებს  
და ვზეიმობთ მთა და ბარად?  
მთელ მსოფლიოს მშრომელები  
ცხრა მაისმა გაახარა.

ეს დღე მუდამ ძალას მატებს  
მშვიდობის და ძმობის მცველებს  
ეს დღე მუდამ ლახვრად ხვდება  
ყაჩაღებს და სისხლისმსმელებს.  
მან იცოცხლოს, იღლეგრძელოს,  
ვინც მზეა და ხალხის მხსნელი,  
ვინც რომ ქვეყნად გაგვითენა  
ცხრა მაისი მშვენიერი.

ვახგანა გორგანელი



იოსებ ბესარიონის-მა სტალინი

## შრომისა და მშვიდობის ზეიმი

პირველი მაისი მარად ახალგაზრდა და სასიხარულო დღეა მთელი მსოფლიოს მშრომელთათვის. ამ დღეს მშრომელთა კოლონების საზეიმო სელაში იგრძნობა მათი უძლეველი ერთიანობა, რომლის მიზანია მშვიდობა იყოს უფრო დიადი და ძლიერი და მტრის

ბომბდამშენთა შავი ფრთები ვერ გამოჩნდნენ ნათელ ცაზე.  
პიონერ-მოსწავლეებო! თქვენი მამები და დედები, უფროსი ძმები და დები პირველ მაისს სიამაყის გრძნობით გაჰყურებენ განვლილ გზას და თავიანთ შრომით მიღწევებზე

გარეკლის სახ. საქ. სსრ-ის  
საჯარო  
ბიბლიოთეკა



უპატაკებენ დიად სამშობლოს. მათი შრომითი მიღწევების მეოხებით ჩვენმა ქვეყანამ კიდევ ერთი მტკიცე ნაბიჯი გადადგა წინ — კომუნისმისაკენ.

ლამაზა და ძლიერი ჩვენი საყვარელი სამშობლო — შრომისა და მშვიდობის სიმაგრე, მთელი კაცობრიობის იმედი და სიამაყე. დიდი ბედნიერებაა იცხოვრო, ისწავლო და იმუშაო სოციალიზმის დიად ქვეყანაში, სადაც თქვენს ნათელ მომავალზე, ყველა ადამიანის ბედნიერებაზე ფიქრობს და ზრუნავს ხალხთა შაშა — ბრძენი სტალინი. საპირველმასისო საზეიმო სულაში მისი პორტრეტი მსოფლიოს ყველა ქვეყნის მილიონობით პატიოსან მშრომელ ადამიანებს მალა უჭირავთ, როგორც გამარჯვების დროში.

პირველ მაისს ალისფერი დროშები თავისუფლად ფრიალებენ არა მარტო ჩვენს სამშობლოში, — ეს დროშები ამაყად უჭირავთ ხელში ვაჟებსა და ქალიშვილებს ჩინეთსა და პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიასა და უნგრეთში, ბულგარეთსა, რუმინეთსა და ალბანეთში. ამ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხები საბჭოთა კავშირის მაგალითის გამოყენებით მეგობრულად და თანხმობით აშენებენ სოციალიზმს. ისინი ჩვენგან სწავლობენ დიდ მიეცნიერებას თავისუფალ შრომასა და თავისუფალ ცხოვრებაზე. ამ ქვეყნების ხალხები ძმურ კავშირში არიან ჩვენი სამშობლოს ხალხებთან.

რვაასი მილიონი ადამიანი გაერთიანებული

ლი მშვიდობისა და დემოკრატიის უძლეველ ბანაკში. ეს ადამიანები პირველ მაისს (საქართველო) მო მარშით მიაბიჯებენ ქუჩებში სოციალისტური უძლეველია ეს სვლა!

მაგრამ არის ქვეყნები, სადაც ადამიანებს ესერიან იმისთვის, რომ ისინი გამოდიან საპირველმასისო დემონსტრაციაზე, არის ქვეყნები, სადაც მშრომელებს დევნიან და ჰკლავენ იმისათვის, რომ მათ სურთ თავისუფლება და მშვიდობა. ამ ქვეყნების ხელისუფალნი არიან კაპიტალისტები — ხალხთა ბოროტი მტრები, ნგრევისა და სიკვდილის მესვეურები.

ამერიკელ და ინგლისელ იმპერიალისტებს სურთ ახალი ომი. მათი მისწრაფებაა ქალაქები ნანგრევებად იქცეს, მიწა გაუცაცურდეს, ბავშვები დარჩნენ ობლად, რათა თავიანთ განუსაზღვრელ სიმდიდრეს ახალი სიმდიდრე შექმნათ.

მშვიდობისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში მიდის ჩვენი ხალხი — მშვიდობის ურყევი და ღირსეული დამცველი.

პირველი მაისის დღეს განსაკუთრებით გაისმის მშვიდობის დამცველთა ხმა. მსოფლიოს ხალხთა ყველა ენაზე წარწერილ ათასობით პლაკატზე გამოსახულია მშვიდობის თეთრი მტრები.

მშვიდობის დამცველთა ბანაკი უძლეველია. მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე, რადგან მშვიდობისათვის ბრძოლაში ხალხებს წინ მიუძღვის დიდი სტალინი.



## ჩვენთან არის...



ამოგვარდა როგორც დედამ  
მშრომელმა და გმირმა ხალხმა...

მზემ ჩვენს ბაღში ჩაიხედა  
და მშვიდობის ეშხი ნახა.

მტერს კი უნდა, რომ შემატოს  
მას კვლავ ხისხლმა ოქრო-ვერცხლი,  
აღფრთოვანებს ომის რისხვა,  
ატომური ბომბის ცეცხლი;

მაგრამ ყველგან შრომის ბრძოლა  
შეაჩერებს მნგრეველ ქარცეცხლა,

ომს აღმოფხვრის ხალხთა ძმობა,  
ომს მშვიდობა დაამარცხებს.

მზე ყოველდღე ღმით უცქერს  
საბჭოეთის ზღვას და ზმელეთს...  
მშვიდობისთვის მებრძოლ ფურცელს  
ხელი მტკიცედ მოვაწერეთ!

მტერმა ომი თუ გაბედა,  
უპასუხოდ არ დარჩება,—  
ჩვენთან არის მუდამ ერთად  
სტალინი და გამარჯვება!

**ვასილ ლაჟირაშვილი**



# ქორფასი სახელი

ლილია მებრალიძე

მხატვარი კ. მახარაძე

## ორი ამბავი

— რასაც მე ახლა მოგიტხოვრებ, — უთხრა მერაბმა ამხანაგებს, — მოხდა ბრაზილიაში, ქალაქ რიო-დე-ჟანეიროში.

1949 წლის 21 დეკემბერს, დილით, ქალაქის მცხოვრებლები ჯერ გამოფხიზლებული არ იყვნენ, როდესაც ქუჩებში ყვირილი და განგაში ატყდა. პოლიციელები ქუდმოგლეჯილი გარბოდნენ ყოველ მხარეს. არ იცოდნენ, სად მოეძებნათ დამნაშავე. პოლიციის უფროსი ყვიროდა, ფეხებს აბაკუნებდა, დეზებს აქლარუნებდა და მათარასით ემუქრებოდა ყველას.

ქალაქის მესვეურთ თმები ყალყზე დასდგომოდან, ხელები იმ მთისაკენ გაეშვირათ, სადაც მათთვის უჩვეულო წარწერას ხედავდნენ. ბევრი მათგანი. ისე გადაწმენილიყო ზურგით და ისე იხედებოდა ზევით, თითქოს საბალეტო ცეკვას სწავლობსო. ზოგსაც ზეცისაკენ აღეპყრო ხელები და ყბის ცახცახით ამბობდა: „სასწაულია სწორედ... კაცი აყო თუ ჩიტი ამის მოქმედი?! ჩიტსაც რომ არა აქვს ჩამოსაჯდომი ამ სალიქის მთაზე?! როგორ მოხდა ეს?!“

დამფრთხალი ვაჭრები თმაგაწმენილი ემუქრებოდნენ თავიანთი სავაჭროებასაკენ.

ზღვაზე უცხოეთის გემი მიდიოდა. კაპიტანმა გემის სკლა შეანელა, გემბანზე გამო-

ვიდა და გაკვირვებულმა გახედა მთას, რომელსაც აქ „ორ ძმას“ ეძახიან. შემდეგ იქვე მდგომ მგზავრებს მიუბრუნდა:

— არ იცით, რას ნიშნავს ის წარწერა?

მგზავრებმა არ იცოდნენ ლათინური კითხვა. კაპიტანმა კარგად იცოდა ლათინური, მსგრამ შორსმხედველობა აკლდა.

გემბანზე ერთი შავკანიანი ყმაწვილი იდგა ხალხისაგან მოშორებით, მან იცოდა ლათინური. ველარ მოითმინა, კაპიტანს მოკრძალებით თავი დაუტყრა და მოახსენა:


— ბატონო კაპიტანო, — ხელი მთისკენ გაიშვირა ყმაწვილმა, — იქ სწერია „სტალინი“.


ახლა კაპიტანმაც დაინახა მომარჯვებული ღურბინდით ეს წარწერა. შუბლი შეიკრა კაპიტანმა, მხრები აიჩეჩა და ქორივით დაეძგერა ყმაწვილს, ხელი წაავლო და გემის ქვედა სარდაფში ჩაუძახა.

— მატყუარავ, არ გაბედო ამოსვლა!

ქალაქის უბრალო მცხოვრებნი ფანჯრებიდან იყურებოდნენ, თვალებს იფშენებდნენ. ჯერ კიდევ ვერ მიმგდარაყვნენ რაში იყო საქმე.

მშვიდად იდგნენ მხოლოდ ზღვის სანაპიროს მუშები და ღმილით გასცქეროდნენ ქალაქის გვერდით ამართულ მიუვალ კლდოვან მწვერვალს, რომელზედაც თეთრა, დიდი ლათინური ასოებით იყო გამოსახული ძვირფასი სახელი „სტალინი“. ცინ იცის, აქნებ





მათ შორის იყო ის დიდი გმირი, რომელმაც თავი გაწირა და ქვეყნის სამაგალითოდ ჩაიდინა ეს საგმირო ამბავი.

მზიანი ღლე იყო. თითქოს სალ კლდეზე წარწერის შემსრულებელ გამარჯვებულ გმირთან ერთად რიო-დე-ქანერიოს ცაც ღლესასწაულობდა გენიოსი ადამიანის დაბადების სამოცდაათი წლის თავს.

მერაბს ხელში ეჭირა გაზეთიდან ამოჭრილი ბრაზილიის მთის სურათი ლათინური წარწერით და აჩვენებდა ბავშვებს.

— კიდევ გინდათ მეორე საინტერესო ამბავი გაიამბოთ? — ისევ ჰკითხა მერაბმა მეგობრებს ცოტა პაუზის შემდეგ.

— გვინდა, გვინდა! — ერთხმად წამოიძახეს ბავშვებმა.

ამხანაგები როცა თავს შეიყრიდნენ, ყოველთვის მოუთმენლად მოელოდნენ მერაბის მოსვლას. მერაბსაც მზად ჰქონდა მათთვის საინტერესო ამბები, ყურნალ-გაზეთებიდან ამოკრებილი. მაგრამ იმ დღის ამბებმა მეტად გაახარა ბავშვები, თანაც დააფიქრა იმ შავ-ბნელო ცხოვრებაზე, რომელიც არსებობს კაპიტალისტების მუხრუჭებში მყოფ ქვეყნებში.

მერაბმა მეორე ამბავიც დინჯად დაიწყო.

— ჩვენ ვისწავლეთ თურქეთი. ხომ გახსოვთ, ამხანაგებო, ჩვენი მეზობელი ღარიბ-ღატაკი ხალხის ცხოვრება. აი იქ, ვარძიას ვალმა, ჩვენი მიწის იქით მცხოვრები ხალხის ბეჩავი ყოფა! იქ მშრომელები ბნელ მიწურ-

ში ლაფავენ სულს. ერთ ასეთ მიწურში, სადაც მუშები იძინებენ, რეჯება ცხოვრობდა (მამაჩემმა თქვა, კვესიოლი ქართული გვარი კვესიაშვილი არისო). რეჯება ავად გახდა, ჩალაზე იწვა და კვენსოდა მოხუცი. უცებ რაღაც მოაგონდა, სასთუმალთან ხელი მოაფათურა და ბავშვზე ღიმილი გამოეხატა მომაკვდავს. გვერდით მჯდომ ჩაფიქრებულ მუშა ისმაილას გაუყვირდა მომაკვდავის ღიმილი.

— რა გაცინებს, რეჯება, სამოთხის კარი გაგიღეს?


— ეებს, ისმაილავ, — ამოიკენესა ავად-მყოფმა, — ვკედები, მაგრამ იმედი მაინც მინათებს: არის ქვეყნად ერთი კაცი. რომელიც ჩვენს ხალხთანაც მოვა და მას მშვიდობასა და ბედნიერებას მოუტანს. მისი სახელია სტალინი.

რამდენიმე საათის შემდეგ მოხუცი რეჯება გარდაიცვალა. ისმაილამ ხელი მიმოავლო მის სასთუმალთან და მოულოდნელობისაგან გაოცდა: ფალას-ფულასში სასოებით შეეხვია რეჯებას გაზეთიდან ამოჭრილი პორტრეტი სტალინისა. ისმაილამ კარგახანს უცქირა პორტრეტს, მერე ფრთხილად შეახვია იმავე ფალას-ფულასში და უბეში ჩაიდო. წამოდგა, წელში გაიმართა და მიწურიდან გავიდა. მზე ამოდიოდა. „ის ჩვენთანაც მოვა“... — წაიხურჩულა ისმაილამ, ხელები გაშალა და იმედიტ გაბრწყინებული თვალებით შეხედა ამომავალ მზეს.




# საბჭოთა მებრძოლებს




 ე მყავდა მამა, ომში დავკარგე,  
 იგი იცავდა, რასაც თქვენ იცავთ —  
 ლენინისა და პუშკინის მხარეს,  
 სტალინისა და რუსთველის მიწას  
 ხმალივით მკვეთრი ჰქონდა მიზანი,  
 ტყვიამ გაუწვა მკერდი ალალი;  
 სამშობლოსათვის თავდადებაზე  
 გამირული საქმე ქვეყნად არ არი.  
 ის გაუფრთხილდა ღირსებას კაცურს,  
 მიტომ თვალს ცრემლი აღარ მინამავს,  
 მე ვეტრფი მამულს მამისგან დაცულს  
 და ყველა მებრძოლს ვეძახი მამას.  
 როგორც ფიქრები მშობელ მიწაზე,  
 ან როგორც მამის მოსვლა გვიანი,  
 ისე მახარებს, ისე მიტაცებს  
 ღიმილი ყველა ფარაჯიანის.  
 ვიზრდები ბრძენის შუქში გაზრდილი,  
 ყველა თქვენგანი მამად მეგულის,  
 უფრო ვამაყობ, რადგან ვარ შვილი  
 სამშობლოსათვის თავდადებულის.

პახანოვ გოგოლაშვილი





# სწავლასა და შრომაში



აქ გაზაფხულს ყველაზე გვიან ენგურის გრძობს. მოქუხს, მოამთავორებს ტალღებს ანკარა მდინარე. სვანეთის მთებში დაბადებული, მთებში ნაბრძოლი აქაც, ამ ვაკეზე-დაც არ ანელებს თავის სწრაფ, თავბრუდამხვევ დინებას, თითქოს მთებიდან დაქანებული ს თავი ვერ შეუკავებია.

აი, ახლა აქ, ამ ვაკეზე, ენგურის შტოებს შორის გაშლილ პატარა ველეებზე ბავშვები დაფუსფუსებენ — ვინ ნახირს მწყესავს, ვინ ხის ძირას წიგნებს კითხულობს, ვინ უფროსებს შველის, რომ სწრაფად დატვირთონ ავტომანქანები სილა-ხრემით და სოფლის ცენტრში გაჩაღებულ მშენებლობებს დროით მიაწოდონ ეს ძვირფასი და მუქთი საშენი მასალა, ბარაქიანად რომ გამოუჩიყავს მადლიან ენგურს ნაპირზე. ახლა აქ სიცოცხლეა, მოძრაობაა. აქ ადამიანები მუშაობენ. აგერ აპუტრებიდან ცოტა ხნით გამოხსნილი ლონიერი ხარ-კამეჩები ზანტად დაიზღაზნებიან, ბალახობენ და იცოხნებიან.

ამ ადგილებს, ენგურის ამ ნაპირებს აქ რიყე ჰქვია. ეს სახელი ზალხს გადმოუტანია და ძველთაგანვე მთელი სოფლისათვის შეურქმევია. სოფელი რაყე გაჭიმულია ენგურის ნაპირებიდან თითქმის ოცდახუთი კილომეტრის რადიუსით, მეზობელ სოფლებამდე — კორცხელამდე და რუხამდე — და ზუგდიდ-სოხუმის გზატკეცილამდე.

ამ სოფელში არის შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობა.

ენგური ახლა როდია ყველგან თავის ნებაზე მიშვებული. ბევრ ადგილას, განსაკუთრებით იქ, სადაც ადიდებული მდინარე ზაფხულში დასათესავად გამოსადეგ ფართობს წყლით ფარავდა, კოლმეურნეებმა ძლიერი ჯებირები ააგეს და ამით მრავალი ათეულ ჰექტარი ნოყიერი ნიადაგი წაართვეს ენგურს. დღეს იქ სიმინდია დათესალი.

ლამაზია სოფელი რიყე. ის მეტწილად ვაკეზეა გაშენებული. ძირითადად აქ მოდის ჩაი, სიმინდი. გასულ შემოდგომაზე კოლმე-

ურნეებმა, პირველად ამ სოფლის ისტორიაში, დათესეს ზორბალი. წინათ ეგონათ, რომ აქ ზორბალი არ მოვიდოდა, ახლა კი გულის გამხარებელი ჯეჯილი ბიბინებს. ამ კოლმეურნეობაში ჩაის მილიონობით მანეთის შემოსავალი შემოაქვს ყოველწლიურად. მარტო შარშან კოლმეურნეობამ 387,000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა და ჩააბარა სახელმწიფოს. და იცით თქვენ რას ნიშნავს ეს ციფრი? — ეს გასაგები იქნება თქვენთვის, თუ გაითვალისწინებთ, რა ძვირფასი კულტურაა ჩაი. ასეთია შემოსავალი ჩაის კულტურიდან, სხვა კულტურებზე რომ არაფერი ვთქვათ!

ცხადია, რომ სოფელი შეძლებულად იცხოვრებს.

ავიღოთ, თუნდაც ერთი კოლმეურნის მაგალითი: შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა კოლმეურნე ქალმა, ჩაის მკრეფავმა ანტისა თოდუამ, შარშან 690 შრომადღე გამოიმუშავა.

—წელიწადში ხომ 364 დღეა?—გაიკვირვებს ალბათ ზოგიერთი თქვენგანი.

მაგრამ ანტისა სტახანოვური მუშაობით დღეში ორი დღის ნორმას ასრულებდა. და აი რამდენი მიიღო მან ამ გაწეული შრომის საფასურად: თითოეულ შრომადღეზე 33 მანეთი ფულად და 7 კილოგრამი მარცვლეული. ამას მიუმატეთ კიდევ კარგი მუშაობისთვის პრემია-დანამატის სახით მიღებული 14,000 მანეთი, და ამას მიუმატეთ კიდევ მისი ოჯახის სხვა წევრთა შემოსავალი!

აი, ასეთი შეძლებული ცხოვრება დაამკვიდრა კოლმეურნეობამ სოფელში.

ასეთმა მუშაობამ კულტურა და განათლება შეიტანა რიყეში. რიყის ცენტრი სატარა ქალაქს მოგაგონებთ. პირველი ნაგებობა, რომელიც სოფელში შესვლისთანავე მიიქცევს თქვენს ყურადღებას, სოფლის ელექტროსადგურია. ილიჩის ნათურებიტაა მთელი სოფელი გაჩირადლებული. ამ ელ-




სადგურის ენერჯით მუშაობენ სახერხი, აგურის, კირის ქარხნები, სამკედლო, ელექტროწისქვილი. ელექტროშუქით განათებულია ფერძაც. ამას გარდა სოფელში შენდება კლუბის გრანდიოზული შენობა. აქ არის საექიმო პუნქტი, სოფლმადი და ძრავალი სხვა. საკოლმეურნეო სოფელი რიყე ქალაქს ემსგავსება.

ასეთ სოფელს, ცხადია, უნდა ჰქონდეს და აქვს კიდევ კარგი სკოლა.

სკოლა! — აქეთყენა მთელი სოფლის გულისყური მიბყრობილი, აქა ყოველი კოლმეურნის სიხარული, იმედიკიდევ უკეთესი მომავლისა—აქ ეუფლებიან მეცნიერების საფუძვლებს მათი შვილები. სოფლის ცენტრში, ვრცელ ეზოში, ერთიმეორის გვერდით დგას ორი ყველაზე ლამაზი, მწვანე ფერით შეთებილი შენობა — ეს რვაწლიანი სკოლაა. მისი ზარის წკრიალი, მის მოსწავლეთა ყრამული ან კლასებში გამეფებული სიჩუქე გაკვეთილების დროს, რა-ცა დროგამოშვებით მოისმის მხოლოდ მოპასუხე მოსწავლის ან გაკვეთილის ამხსნელი მასწავლებლის ხმა, — ყოველავე ეს თითქოს მთელი სოფლის გულისფეთქე იყოს. ვინ მოსთვლის, რამდენი სახელოვანი თაობა გამოიზრდია მას ათეული წლების მანძალზე. აქ უსწაველია ბავშვობისას მირონ ფაცაცის, რომელიც შემდეგ აგრონომი გახდა და ახლა სახელოვნად უძღვება რაყის მოწინავე კოლმეურნეობას, აქ უსწაველია მის მოადგილეს ვალერიან ვეკუას, რომლის შვილი, პატარა ფერადე, დღეს იმავე სკოლის ხუთოსანი მოსწავლეა. აქ უსწაველია აკაკი ბერულავას, შემდეგ აგრონომიულ მეცნიერებას რომ დაუფლა და ახლა კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობს. აქ უსწაველია პარველად იმ მასწავლებელთა მეტ ნაწილს, რომლებიც დღეს იმავე სკოლაში ზრდიან ნორჩ თაობას. სკოლა განაგრძობს თავის კარგ ტრადიციას და ენერჯიას არ იშურებს, რომ იყოს ასეთივე ღირსეული სწავლაში, როგორი ღირსეულიც თვით ამ სოფლის კოლმეურნეობა გახდა შრომაში.

განა სირცხვილი არ იქნება კარვად არ ასწავლოს კოლმეურნის შვილმა, რომელსაც ყველა პირობა აქვს შექმნილი? და კიდევ, აკაკი დარასელია თუ შრომაში სახელოვანი კოლმეურნეა, მისი ვაჟიშვილი მეხუთეკლასელი პიონერი გურამი მთელი სკოლის საყვარელი მოსწავლეა, ხუთოსანია. ასევე ხუ-



სოფელ რიყის საშუალო სკოლა

თებზე სწავლობენ და მშობლების—კოლმეურნეების გულს ახარებენ მეოთხე კლასის პიონერები ორდე ცანავა, ჯუშმბერ თოდუა, მერი ქარჩავა, მეხუთეკლასელები — გიული ჯიქია, გივი კირთაძე, ირა გვიჩიანი. მეექვსეკლასელი პიონერები გივი ვეკუა, გულიკო აგუმაძე, ლუსია გოგია.

მაგრამ მარტო გაკვეთილების სწავლით როდი ამოიწურება სკოლის მოსწავლეთა და პიონერთა საქმიანობა. საქმე ისაა, რომ ხუთებზე და ოთხებზე სწავლასთან ერთად ისინი სასარგებლო შრომასაც ეწევიან კოლმეურნეობის საკეთილდღეოდ. აი თუნდაც ამავე აკაკი დარასელის ქალიშვილი, კომკავშირელი ნათელა. იგი სოფელ ჩხორიას საშუალო სკოლის მეთერთმეტე კლასის კარგოსანი მოსწავლეა და ამავე დროს სტახახოველი კოლმეურნე. მან შარშან მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 4,203 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. ამ საპატიო შრომისთვის იგი მთავრობის უმაღლეს ჯილდოზე — შრომის წითელი დროშის ორდენზეა წარდგენილი. პიონერთული რაზმის ხელმძღვანელმა, მერვეკლასელმა გოგოლა ვეკუამ, რომლის პიონერთული რაზმი ერთ-ერთი მოწინავეა სკოლაში, 4,327 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა. გოგოლაც მთავრობის უმაღლეს ჯილდოზეა წარდგენილი.

შრომაში მათი ეს წარმატება აგრეთვე ცოდნიდან მოდის. ამ ცოდნას და სასარგებლო შრომის ჩვევებს მოსწავლეები სკოლაშივე იღებენ — მიჩურინელთა წრეში, საცდელ ნაკვეთზე, რომელსაც ხელმძღვანელობს ბიოლოგიის მასწავლებელი, ორდენოსანი ვლადიმერ ფარცხალაია.

სწავლასა და შრომაში იზრდება აქ მომავლის ბედნიერი თაობა.

ქ. ლოლაძე



# საბჭოთა მასწავლებელი

მუდამ სკოლისკენ იქიპრის, თოვლი, წვიმა თუ ქარი; მისი ოცნება იქ არის, სადაც ბავშვები არიან. ტკბილია, მეტად ტკბილია მისი დღეური ლეგისი, აქ ყველა მისი შვილია, ნანატრი, უსაყვარლესი. ხეუ ვაშლილი ყველაზე როცა იღიბებს ბუნება, ის სკოლის ბაღში ვიცილი, მალხაზებს ესაუბრება. სახლში იბარებს პატარებს, ცდილობს არაფერ არ მოუცდეს, იქაც ვაჭეუთოს ატარებს, კარგად რომ შეხედნენ გამოცდებს. ელად ჰქონდა და ეტნება აღზარდოს წირობი თაობა, დანერგოს ცოდნა, შფენება, ბრძოლაში გამბედაობა. ასწავლის ახალგაზრდობას, სულ იყოს ცოდნის მძებნილი,— შეხარის ჭეუენის ვარლობის საბჭოთა მასწავლებელი.

## პარალელები



# რ ა წ მ ე უ ლ ი

წახუზული არსებულს წინაშე იქნება ახალი შეხატულობის წარმატებულ პირობებში განვითარებისთვის. არსებულს მუშაობს წახუზული იმის განხორციელების გარეშე, რასაც არსებული სკოლაში აკეთებს.

წახუზული ბავშვთა შორის მუშაობის ცენტრი უმეტეს შემთხვევაში სკოლა. სკოლაში და დიდ ზოგადსაშუალო განათებას იქნება პირობული წახუზობა, რომელიც აერთიანებს ბავშვებს სასწავლებელი ადგილის მიხედვით, იმისა და მიუხედავად, თუ რომელი არსებული უფრო ახალი განათების სასწავლებელი წლის განმავლობაში.

არსებულს საბჭოთა სკოლაში უმეტესად წახუზობის პერიოდში სახეში ვეგის დამტკიცება უნდა მიქცენას. სახეში ვეგის დგება არსებული არადიქციების მიხედვით პერიოდების, არსებობს კი უფლებდობრივ ბავშვებს შორის უნდა იქნენ გამოვლენილი წირობა ტექნიკის, რაციონალური, ფსიქოლოგიური, ნატურალისტური, ფოტომაიკროფილია და სხვა. ეს დენტირება ხელშეწყობს ნაყოფის სხვადასხვა წარ. რაც ბავშვებისთვის მიღებულ გაატარებულ დღეებს უფრო ხანგრძლივს და მიზნობრივს გახდის, სხვა არსებულს პირობებთან ნაატაროს ლაშქრობები, შეხვედრები. ვეგისში აერთიანებს ნაქვები იქნება თუ რა და რა სხვის ვუნდები და წარები შეარქვება. უნდა შედეგად მსოფლიო ღონისძიებების წარების კალენდარი და ბოლოს გამოხატუებულ უნდა იქნეს, მიღების შუამოს განწესება.

დღის რეჟიმი ისე უნდა შედეგად, რომ ბავშვებისთვის უზრუნველყოფილი იქნეს სრული დასვენება, მზაობა დასვენება სრულებით არ წინაშეს ესაძლები უფროსი. საინტერესო შედეგები, ექსპერიმენტი, ფიზიკური ვარჯიში, წარების კითხვა, — უფლებდობრივი წირობების ფრგალებში პირობის ხელს შეუწყობს გონებრივად დასვენება.

პირობული შედეგები წახუზობა, ისე როგორც წახუზობის პერიოდში, უნდა ახასიათებს და წარმოადგინდეს არსებობს და გრძელდება უფლებდობრივი მუშაობა. თუ არსებობს უფლებდობრივი სხვადასხვა მუშაობის მხარის შეხატულები, იმ შემთხვევაში შედეგად უნდა დაემატოს პირობები წარმართა გაცოდნა იმ სათანადო, რომლის შეწყვეტილი მათ აქტი ვარჯიშობა. შედეგები ახვე შეიძლება მიქცენას სახალი დღეების რეჟიმის ფორმალური დღის, „სამშობლიობის დღის“ და სხვა ხელშეწყობს წახუზობის განმავლობაში შეიძლება პირობების ხატუბის ხატუბის მეშვე დადა სიყვარულითარ წახუზობის, ღონისძიების პირობის, კომ-

# წ ა ფ ხ უ ლ შ ი

კავშირის როგორც ბოლშევიკური პარტიის ერთგული თანამშრომლის შესახებ. ჩამდგომი სიხშირე უნდა მიქცენას კომუნისტური მორალის, მდგრადობის, ამხანაგობის, წყნების და წირობის სიყვარულითარ დამოუკიდებლობის საკითხს. პირობული აქტობა და შრომობის დახმარებით ხელშეწყობს შეუძლია მოაწიოს ღონისძიება და ხელშეწყობს კულტურის, ნაატაროს პირობებთან კონტაქტი იმ წარწარობების, რომლებიც მოტირირებულ ხელშეწყობს წახუზობა, ვაყის მათ ხელშეწყობს მოტირირების ცალკეული მოტირირება.

წახუზული განსაკუთრებით ხელშეწყობს დრო ფორმული კულტურის პროპაგანდისთვის. არადიქციების პერიოდში ბავშვებს შეიძლება შეეახეულითარ მრავალი სპორტული თამაში. იმისთვის, ვინც განსაკუთრებით ვაჭეუბობს სპორტის, უნდა შეიქმნას სხვადასხვა ვუნდები—ფეხბურთის, ფეხბურთის და სხვა. ასევე კარგ ფიზიკური წირობის აქვებს ბავშვებს პირობული ლაშქრობები და მოტირირები.

ერთგობრივად ბავშვები სისტემატურად უნდა ვაჭეუბონი წარწე. წახუზობა, ჩამდგომი მოტირირების მეშვე ითვის უფლებდობრივი დასვენება, აუფლებლობა გრძელდობრივი მას ინტერესი დამოუკიდებელი კითხვების, დაუხმარობი წარწების შედეგები. ახალი წარწების ხმა, მხალი კითხვა, მკითხველი კონტრეფორმი შეხვედრები ხეყვარულ შედეგებთან—უფლებდობრივი ხელს შეუწყობს მათი ღონისძიების დამოუკიდებელი კითხვების.

წახუზობა აქტიურად მუშაობს წირობის ნაქვების ცენტრ, ფოტომაიკროფილია, აუამიღებლობა, ხელაქმნის მოტირირების, ჩამდგომი და რა არსებობს შეიძლება დღისთვის მათი შემოქმედების დამოუკიდებლობა. ახალი დამოუკიდებლობაზე აუამიღებლობა უმეტესად ითვის მიღებებს, ფოტომაიკროფილია გამოხატვნი მათ მიერ დამოუკიდებელი ფოტომაიკროფილია, ვაჭეუბებს და სხვა არადიქციების პერიოდში იქნება განსაკუთრებით ხელშეწყობს პირობები ქაქქამა და სოფლის პირობების შორის მეგობრობის დამუშავებისთვის. ქაქქამი პირობების შედეგად დღის დახმარება გაცოდნა ითვის სოფლები ამხანაგებს, დახმარების მათ ტექნიკური წარების შექმნაში, ვადასკენ თვითნაყოფი დახმარება, კულტურის, თვითნაყოფი ხელშეწყობა, შედეგად მოტირირების პირობები სოფლის პირობების გააცოდნა მათი ხატულები სოფლის ცხოვრების, სოფლის-სამშობლიობის ითვის, შედეგად განსაკუთრებული ვაჭეუბობის დასვენების დასვენების და სხვა ქაქქამი და სოფლის პირობები ახალი ფორმირების ხელს შეუწყობს სახალი ბავშვებს შორის ნაქვული მეგობრობის განმტკიცებას.

# ორი კვირა

## ნ. სლონიანო

ჭეუენის მშენებელი დღეს ორი კვირა: ერთი—მტკიცების პირად სხვადასხვა მუშაობის მეორე უზრუნველყოფს წყნარ დღეს და ზვირთობა სრულიად არის ვაჭეუბობა.

გვირთობა ბუნება თუ ორი სხელი, აქ დაფორმირებულ დღის ნაწილია, როცა ვინმე დღის პირადი ნაქვული და არსად იყოს სიხშირე ნაქვული.

ოცნებები ვოლგას მიმდებარე უფროსი ხელში წირობა კარგებული, ხოლო უზრუნველყოფს ნაქვული ვინის ვაჭეუბობა ჩაფიქრებული.

ორივეს ერთი სურვილი წყვადი და გულის ბეჭეა ჰქონდა ერთგვიანი: საჭირო იყო დასვენება სხვათა, საჭირო იყო ბრძოლა მეტყვარის.

რომ მზეს ემდებარა დღემიწეულ და გამჭრალყო ცრემლი, სიმწერე, ციხე, ციხიანი,— რა აღარ სხედეს, რა სიმძიმე არ ვაჭეუბობს.

შენ, ამხანაგო, ამ ნათელ დროში, როცა მყინდელი ცეცხლი ამითია, არ დავიწყო წარწეულის თათში, ბრძოლის ყვირია, ფრიალი დროშის, ბოტირული დღეა სასატირებოში, — გამამაყდეს ჩვენი პარტი!

რა დავგიუწყებს უდამბობებზე პირად ჯეუილის იბიბინების, ვოლგაზე შექმნილი აღმობარწეუენების, დედა-მოსოფიო შლეის დიწე დღისთვის, ბერლამინე ჩვენი მხედრების ძახილს,— გამამაყდეს, ძეო, ეს ხალხი!

დღეს ორი სხელი, ორი ავენი — ჩვენი ოცნების ტრბობის სავანი.

თარგმანი ზ. ბაძაძისა



ლაკინაზი ჭიჭინაძე

მხატვ. კ. მახარაძე

მ ო თ ხ რ ო ბ ა

საკლასო ოთახში ერთი მოსწავლე დაფას მისდგომია და სარკესავით აპრიალებს. შავად ალაპლაპებულ დაფაზე ცარცის ნამკვიცა თეთრი ფერფლიც აღარსად ემჩნევა, მაგრამ ბავშვი მაინც არ ეშვება, სველ ბალიშს დაჟინებით უსვამს.

— გაიოზ, თუ ძმა ხარ, კარგად გაწმინდე, არ მოეშვა, სუფთა დაფაზე იქნებ ადვილი ამოცანა დაგვიწეროს ჩვენმა მასწავლებელმა, — გაეხუმრა ამხანაგი.

— შენ რა გენადვლება, ნიკა, შენთვის ხომ სულ ერთია, ძნელი ამოცანა იქნება თუ ადვილი.

— მაინც ვერ გამოვიყვან, არა?!

— რატომ? ჩვენ თუ გამოვიყვანთ, შენ რალა დაგიდგება წინ?

— არაფერი. ისე შორს ვიხედები, რომ ერთ მეტრს იქით ნემსის ყუნწში გავუყრი ძაფს, — სიცილით უპასუხა ნიკამ.

— გადაწერას აპირებ?! — გაკვირვებით შეეკითხა გაიოზი.

— აბა, გადაწერის იმედი რომ არა მქონდეს, რა ვიცი, რომელ ამოცანას მოგვცემს! ყველა როგორ მეცოდინება?

ამ დროს მასწავლებელიც შემოვიდა. ნიკამ ტუჩზე ხელი მიიფარა. შერცხვა, გაიფიქრა: ვაითუ მასწავლებელმა გაიგონაო. ის ერთ წამში თავის მერხზე აღმოჩნდა. ბავშვებმა თვალის დახამხამებაში დაიკავეს ადგილები.

მასწავლებელმა რვეულები დაუბრია მოსწავლეებს. ბევრმა გაიხარა ოთხიანებითა და ხუთიანებით. ნიკას რვეულში რამდენავე წითელი ხაზი იყო გასმული, ბოლოში სამიანი ეწერა. ამ სამიანით ნიკა ოთხიანის პატრონზე ნაკლებად როდი გამხარულდა. ნიკამ უცებ უკანა მერხზე გადაიხედა, თვალი

გადაავლო გაიოზს, რომელიც ჩაფიქრებული ჩაჰყურებდა რვეულს.

— ბიჭო, რამ დაგაღონა? ორი ხომ არ მიგილია?

— ორი კი არა ოთხი მაქვს.

— მაშ, რაზე ფიქრობ?

— მომავალზე.

— ეგრე, ჩემო გაიოზ, ეგრე, იფიქრე. მეც შენი იმედი მაქვს. ჩვენ ხომ მეგობრები ვართ?!

უცებ რალაც მოაგონდა ნიკას, შეტრიალდა მერხზე, თავის სამკონეს ხელი დასტაცა და სადღაც გადაძალა. გვერდით მჯდომმა ამხანაგმა ხელი წაატანა, თან წაუჩიურჩულა: — მელანი... მელანი სად მიგაქვს?

ნიკამ დამცინავი ხმით გადახედა:

— ბიჭო, ჭკუა, ჭკუა მოიხმარე! გაიოზის სამკონიდან ვისარგებლოთ, ჩვენ ვითომ არა გვაქვს. ხშირად ჩავიხედავთ გაიოზის რვეულში...

— მე არა ვარ ჩვეული გადმოწერას. გადმოწერილში მიღებულ ხუთიანს ჩემი სამიანი მირჩევნია, — უპასუხა ამხანაგმა. ნიკა გაჯაჟრდა, შუბლი შეიკრა, ხმა არ გაუღია.

მასწავლებელი ამოცანას წერს პრილა დაფაზე. ყველანი დაფას უყურებენ. გაიოზი მოუთმენლად ელის ამოცანის უკანასკნელი სიტყვის დაწერას, ხოლო ნიკა ერთ წამს რომ დაფას შეხედავს, მეორე წამში გაიოზისაკენ მიბრუნდება. მას დაფაზე დაწერილ ამოცანაზე უფრო გაიოზის სახის გამომეტყველება აინტერესებს, აღრევე სურს იქიდან ამოკითხვა, შეუძლია თუ არა ამხანაგს ამოცანის გამოყვანა?! ამასობაში მასწავლებელმა უკანასკნელი წერტილიც დასვა, შემდეგ ერთ-ერთი მოსწავლე აყენა ამოცანის წასა-

კითხვად. ნიკა კვლავ ამხანაგებისაკენ იხედება წამდაუწუმ. უცებ თვალი შეასწრო გაღიებულ გაიოზს. მისი ღიმილი ნიკასაც გადაეღო.

— გამოვიყვან, — თქვა თავისთვის ნიკამ. — მსგავსი ამოცანა ბევრჯერ გვაქვს გამოყვანილი, დაუკვირდით, — ამბობს მასწავლებელი. — დამოუკიდებლად იმუშავეთ.

კლასში სიჩუმე ჩამოვარდა. ნიკა მოუსვენრად დაჰყურებს თავის რვეულს, წამდაუწუმ აწებს კალამს გაიოზის სამელნეში. დაწერა მხოლოდ ერთი სიტყვა „ამოხსნა“ და მის ქვემოთ კითხვის მაჩვენებელი ციფრი „1“ ლამაზად გამოიყვანა. დაუსეა წერტილი. მოემზადა კითხვის დასაწერად, მაგრამ... გაიოზი კი წერს, იყვანს მაგალითებს ამოცანის კითხვების მიხედვით. ნიკა ვერ ისვენებს, წამდაუწუმ აწებს კალამს გაიოზის სამელნეში. აგერ სამელნესაც ჩაჰკიდა ხელი, დაუწყო ნჯღრევა. აქნევს სამელნიან ხელს, თვალი კი გაიოზის რვეულისაკენ აქვს. მაგრამ გაიოზის ნაწერზე საშრობია წაფარებული. ნიკა საგონებელში ჩავარდა. „ჩემი თან მეგობრობა რომ უნდოდეს, საშრობს რატომ დააფარებდა? — ფიქრობს ნიკა. — არა, ალბათ შემთხვევით მოხვდა საშრობი ნაწერზე“.

ნიკამ კვლავ მიიხედა უკან, რომ ახლა მაინც მოეხერხებინა გადმოწერა, მაგრამ ახლაც იმედო გაუცრუვდა. საშრობი უფრო ქვემოთ იყო დაწეული, ამოცანის მაგალითიც აღარ ჩანდა. იმედგაცრუებულ ნიკას ცხელმა ოფლმა დაასხა. რამდენიმე ხნის შერძიდვ ახალი იმედით გაიხიდა უკან, ვითომ ძელანი უნდოდა. სული შეუბერა საშრობს. საშრობი გვერდზე გადაფარდა. ნიკას სწრაფმა თვალმა პირველი კითხვის რამდენიმე სიტყვა ამოიკითხა. ყმაწვილს გულზე მოეშვა და ხელად ჩაწერა: „რამდენ კილომეტრს გაიგლიდა“... კალამზე მელანი ჯერ კიდევ საკმაოდ იყო, მაგრამ ნიკა ისევ უკან მიბრუნდა, ვითომ მელნისათვის, უფრო კი კითხვის დანარჩენი სიტყვების თანახვა სურდა. იმედის ნაპერწკალი უცებ გაუქრა: ნაწერზე საშრობი კვლავ ზემოდან წაფარებულიყო, გაიოზს თითი დაედო საშრობისათვის.

მომავალი ორიანი უკვე ნათლად წარმოიდგინა ნიკამ, საგონებელში ჩავარდა.

გაიოზმა დაამთავრა ამოცანის გამოყვანა, კიდევ გულდასმით გადაათვალიერა, დახურა რვეული და მასწავლებელს გადასცა.

ნიკას თითქოს ცეცხლი მოეკიდა. სახეზე წამოწითლდა. გულმა ბაგაბუგი დაუწყო. თვალები ისე აემდვრა, რომ ერთი საგანი ორად ეჩვენებოდა. გაიოზს უმადურად გადახედა და ბურღულუნით უთხრა:

— ასე უნდა მეგობრობა?

გაიოზმა თავი შეიკავა, ნიკას არც ავი უთხრა და არც კარგი. მერხის სახურავს მხედდა.

ახლა ნიკამაც დახურა რვეული, ფუსფუსით წამოხტა და რვეული მასწავლებლის მაგიდაზე დაწყობილ რვეულებს ზემოდან დაადო. ვიდრე ნიკა თავის მერხთან მივიდოდა, მასწავლებელმა რვეული გადაფურცლა...

— უჰ, ეს რა მოგვლია?! — გაკვირვებით წამოიძახა მასწავლებელმა. — ერთი კითხვა მაინც ვერ დაწერე?

— მაინც ვერ გამოვიყვანდი, — მოკლედ წაიბუზღუნა ნიკამ.

— ახლა ორიანს მიიღებ. მომავალში კი ბეჯითი სწავლით შეგიძლია გამოასწორო, — უთხრა მასწავლებელმა.

ნიკა აქამდე თუ წამდაუწუმ გაიოზისკენ იხედებოდა, რვეულის ჩაბარების შემდეგ ერთხელაც აღარ მიიხედა უკან.

გაკვეთილი დამთავრდა. ბავშვებმა ერთმანეთს შორის კამათი გამართეს:

— ამ ამოცანის გამოყვანა მე შეჯამებით დავიწყე, — თქვა ერთმა მოსწავლემ და მერე გაიოზს მიმართა: — შენ როგორ დააწყე?

ამ დროს ნიკა უხმოდ მიუახლოვდა ამხანაგების იმ ჯგუფს, სადაც გაიოზიც იდგა, მიუახლოვდა და ყური დაუგლო, აბა, გაიოზი რას იტყვისო.

— მე გამოკლებით დავიწყე, — უპასუხა გაიოზმა.

— ჰოდა შენი ამოცანა სწორად არაა გამოყვანილი.

— ხედავ, რა ტყუილად გავაფუჭებდი რვეულს?! — მხიარულად წამოიძახა ნიკამ.



ნიკა ვერ ისვენებს, წამდაუწუმ აწებს კალამს გაიოზის სამელნეში.

— არა, ამხანაგო, მე სწორად მაქვს გამო-  
ყვანილი. — გაიოზი მოკამათეს ედავებოდა.  
იცავდა თავის ნამუშევარს. — მე არ ვამბობ,  
რომ შენ შეცდომა გექნება. ეგ ამოცანა ორი  
ხერხით შეიძლება გამოიყვანო. შენ მიმატე-  
ბით დაგიწყია, მე გამოყოფებით დავიწყე.

— ჰოო, მე ეგ მეორე ხერხი არ ვიცოდი.  
— მე კი ორივე ვიცოდი, — თქვა გაიოზმა.  
ნიკა ისევ დამწუხრებული მობრუნდა. მას  
არავინ ეკითხებოდა, მაგრამ მაინც წამო-  
ილაპარაკა:

— მე კი არც ერთი... არც ერთი ხერხით  
არ გამომიყვანია.

— რატომ?  
— იმიტომ, რომ გაიოზისთანა „კარგი“  
ამხანაგობი მყავს.

— რაში გამოიხატება ჩვენი ცუდი ამხანა-  
გობა? — შეეკითხა გაიოზი.

— თვითონაც კარგად იცი.  
— მე არ მესმის, რას ლაპარაკობ.

— რა იქნებოდა, ბიჭო, ჩემთვის რომ გა-  
დაგეწერინებინა, ქვეყანა ხომ არ დაიქცეო-  
და?

— აა, ამაზე ლაპარაკობ? ქვეყანა არ დაიქ-  
ცეოდა, შინს ერთგულ მოგობრაი ჩამთვლი-  
ლი, მაგრამ ეს არაფერი მეგობრობა იქნე-  
ბოდა.

— ერთი ამოცანა გამოიყვანე და ისე ლა-  
პარაკობ, თითქოს დიდი ზინმი იყო. ბიჭო,  
რომ მოტი რამე შეგეძლოს, მაშინ არც ერთ  
ამხანაგს აღარ გაიპარებოი. შემოგეხვივები  
თუ? არც მე მინდა შენი მეგობრობა... სხვა-  
თან ვიმეგობრებ.

— ვინც გადაგაწერინებს?

— თუნდაც ავრე ივულისხმე.

— შენ მათემატიკა კი არა, საუბედუროდ,  
არც სხვა რამ გცოდნია.  
ნიკა ძალიან გაწიწმატდა:

— შენ ცოტა ენას მოუკოლი, თორემ ამას  
ხომ ხედავ? — მუშტი უჩვენა და თვალებიც  
დაუბრიალა.

— ეგ მე არ მომხვდება, — დიმილით უპა-  
სტხა გაიოზმა.

— როგორ, ვერ მოგერევი? — კიდევ და-  
უბრიალა თვალები.

— მე მორევაზე კი არა, მეგობრობაზე  
ვლაპარაკობ. — განუმარტა გაიოზმა.

— დღეს რომ შენ საქმე გამიკეთე, ამის  
შემდეგ რომელ მეგობრობაზე დებ თავს?  
დღეიდან ჩვენ მეგობრები აღარ ვართ! —  
ხელი ჩაიქნია ნიკამ და გაიოზი მიატოვა.

მართლაც, არც ერთ დასვენებაზე ახლო  
აღარ გაეკარა გაიოზს, გაკვეთილების შემ-  
დეგაც მისკენ არ მიუხედავს.

გაიოზი უგუნებოდ მივიდა შინ.  
— შეილო, გაიოზ, რა ცუდ გუნებაზე ხარ!

დღეს ორიანი ხომ არ მივიღია? — გაიოზმა  
დღეა.

— არც ორიანი მიმიღია და არც მოწყენი-  
ლი ვარ, — გაიციანა კიდევ, მაგრამ გულ-  
დან არ შორდებოდა ნიკასთან გაბუტვის ამ-  
ბავი. საკუთარ თავს ეკითხებოდა: — რატომ  
გამოვიჩინე ჯიუტობა? ნეტავ გადამეწერი-  
ნებოდა. ამით მე რა დამიშვებოდა? ნიკა  
კი ოთხიანს მიიღებდა.

გაიოზს ძილშიაც დარდად ჩაჰყვა ამხანა-  
გის დამდურება.


დილით უფრო დამშვიდებული გონებით  
წამოდგა და ფიქრობდა: დღეს აუცილებლად  
დამელაპარაკება ნიკა. კლასში აღრე მივალ,  
ნიკა რომ შემოვა, ვნახო. სალამს მომცემს  
თუ არაო. ბოლოს დამშვიდებით თქვა თა-  
ვისთვის: „რა თქმა უნდა, მომესალმება“.

ამ რწმენით გასწია გაიოზმა სკოლისაკენ.  
აღრე მივიდა. გავიდა რამდენიმე წუთი და  
საკლასო ოთახის კარებში ნიკამ შემოყო თა-  
ვი, შემოსვლა უნდოდა, მაგრამ უკანვე გა-  
ბრუნდა.

— მართლა შემდურის! — უთხრა თავის  
თავს გაიოზმა.

— როცა მოსწავლეებმა ერთბაშად დაიწყეს  
შემოსვლა, მაშინ ამხანაგების ჯგუფს ნიკაც  
შემოჰყვა.

ოთხ დასვენებაზე ერთხელაც არ შეხვდნენ  
ერთმანეთს გაიოზი და ნიკა. გაიოზს დალა-  
პარაკება სურს, მაგრამ ფიქრობს: „რომ და-  
ველაპარაკო და ხმა არ გამცეს? ეს ხომ ჩემი  
დამცირება იქნება!“



— ოჰ, ნიკა, შენა ხარ?



ამ ფიქრებში დამთავრდა გაკვეთილები. გუშინდელზე უფრო გრძობააფორიაქებული მივიდა შიბ გაიოზი. სადილობის შემდეგ დედას უთხრა:

— ამხანაგთან მივიღივარ, დღეს გაკვეთილებს ერთად ვამზადებთ.

— შვილო, მალე მოდი!

გაიოზი გაიქცა, გადაარბინა რამდენიმე ქუჩა, ერთ მალალ სახლთან გაჩერდა, შეეყოყმანდა, მაგრამ მერე კიბეზე აირბინა. ნიკას ბინის კარებთან შედგა. გამბედაობა არ ეყო, კარზე რომ დაეკაკუნებინა. იდგა ასე და ყოყმანობდა. ბოლოს გაბედა და დააკაკუნა. გაიღო კარი. ერთმანეთს შეხვდნენ გაიოზი და ნიკა. თრივეს ბავშვური მორცხვობის სიწითლემ გადაჰკრა სახეზე.

— ოჰ, ნიკა, შენა ხარ?

— ოჰ, გაიოზ, მოხვედი?!

ნიკამ შინ მიიწვია ამხანაგი.

— გითხრა სიძარტლე, რომ შენ არ მოსუ-

ლიყავრ, მე მოვდიოდი შენთან, — დაასწრო ნიკამ.

— მე გუშინდელი ამოცანის გამოსაყვანად მოვედი, — უთხრა გაიოზმა.

— იმაში ხომ თრიანი მექნება, რალად მინდა მისი გამოყვანა?

— შენ ნიშანზე ნუ კი ფიქრობ.

დასხდნენ, ერთად გამოიყვანეს გუშინდელი ამოცანა. შემდეგ მისი მსგავსი ამოცანა დამოუკიდებლად გამოიყვანა ნიკამ.

— უჰ, — წამოიძახა სიხარულით ნიკამ, — ახლა რა კარგად ვიცი! გაიოზ, ჩემო ძმაო, — გადაეხვია ნიკა ამხანაგს, — დავიფიქროთ გუშინდელი ამბავი. ვხედავ, რა გულკეთილი ბეგობარი ხარ. რომ გადაგეწერიებინა, მე ხომ მას ვერასოდეს ვეღარ ვისწავლიდი. ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება ეს გულკეთილი მეგობრული დახმარება. ხვალ მე თვითონ ვუამბობ ყველაფერს ჩვენს მათემატიკის მასწავლებელს, პატივცემულ სოლომონს.



ვეგებებით ზემით  
ჩვენ მაისის განთიადს,  
აივნებზე დროშები  
ვარდებივით ანთია.  
გვხიზლავს ნათელ სცენიდან  
ყვავილების ბიბინი  
და ბელადის სურათი  
ბედნიერებს გვილიმის.  
აგერ კოხტა თამარი,  
ნაზი, თვალგვარსკვლავა,  
მშვიდობაზე ლექსს ამბობს  
მტრების გულმოსაკლავად.  
აგერ ჩვენთან ზემოებს  
რეზო ზემოუბნელი,

თუ ვერაგ მტრებს ომი სურთ,  
ის მშვიდობას უმღერის.  
ჩვენ რომ ვმღერით, ვზეიმობთ,  
ვეცევათ ფრთებგაშლილები,  
ჩაგრულ ხალხთა შვილები  
სულს ლაფავენ მშვიგრები.  
გვინდა იქაც დაიმხერეს  
ჩაგვრის მძიმე უღელი,  
გამარჯვების იმედით  
კორეელ ძმებს ვუზღერით.  
ვეგებებით ზემით  
ჩვენ მაისის განთიადს,  
აივნებზე დროშები  
ვარდებივით ანთია.

გიორგი ლავაუ





# ორი პიონერული სამკერდე ნიშანი



ლ. ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს მამდინარე წლის 2 მაისს არსებობის 10 წელი შეუსრულდა. თბილისელმა პიონერებმა უდიდესი ზემოთ და სიხარულით აღნიშნეს მათთვის ძვირფასი თარიღი—საკუთარი სასახლის 10 წლის თავი. პიონერებს და მოსწავლეებს უსაზღვროთ უყვართ თავისი სასახლე, რადგან აქ მათ ფართო გასაქანი ეძლევათ გაავითარონ თავიანთი ნიჭი, გაიღრმონ ცოდნა მეცნიერების, ტექნიკის და ხელოვნების უკველა დარგში, გაიკაჟონ სხეული სპორტის სხვადასხვა სახეში, მოაწყონ მომხიბლავი მოგზაურობანი.

ბავშვებს იზიდავს სასახლის მდიდრულად მოწყობილი კაბინეტები და სახელოსნოები, სამკითხველო დარბაზები და სპორტული სექციები.

აქ, საყვარელ სასახლეში, პიონერები და მოსწავლეები ხვდებიან ჩვენს მოწინავე აღამიანებს: მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების გამოჩენილ მუშაკებს, დამსახურებულ მასწავლებლებს, შრომის გმირებს, წარმოების ნოვატორებს. რომლებიც უნერგავენ მათ უანგარო სიყვარულს ჩვენი დიდი საბჭოთა სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისადმი, ხალხთა ბრძენი ბელადის დიდი სტალინისადმი.

პიონერთა სასახლეში გაერთიანებულ ბავშვებს წერილობითი კავშირი აქვთ მოძვე რესპუბლიკების პიონერ მოსწავლეებთან. ისინი ურთიერთს მოუთხოვენ თავიანთი სწავლისა და მუშაობის შესახებ, უზიარებენ გამოცდილებას.

თბილისის პიონერთა სასახლის საქმიანობით დიდად დაინტერესებული არიან აგრეთვე ბულგარეთის, ალბანეთის, რუმინეთის, პოლონეთის, აღმოსავლეთ გერმანიისა და სხვა დემოკრატიული ქვეყნების პიონერები. ისინი ცდილობენ გამოიყენონ თბილისის პიონერთა სასახლის მდიდარი გამოცდილება და ასევე შინაარსიანად და მიმზიდველად მოაწყონ მუშაობა ახლად შექმნილ პიონერთა სასახლეებში.

ქვემოთ ჩვენ ვაქვეყნებთ ერთ საინტერესო ეპიზოდს თბილისელი და გერმანელი პიონერების ურთიერთობიდან.

ოქროსფრად მბზინავი ჭალები გაჩირადდნებულა. ელექტრომუქი ათასფრად ელვარებს სარკეებით მოოჭვალ დარბაზში.

აი გაისმა მხნე და ამბვე დროს ნაზი ქართული საცეკვაო მუსიკა და ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწყობილი წყვილი გასრი-აღდა დარბაზის ცენტრისკენ. გატაცებით ცეკვავენ პატარები. დღეს ხომ უჩვეულო მაყურებელი ჰყავთ მათ, უცხო სტუმრები, შორეული სტუმრები... დე, ნახონ მთელი სილამაზე ქართული ცეკვისა!

შეწყდა და მუსიკა. წყვილმა ნაზად დახარა თავი და დარბაზი მქუხარე ტაშმა დაფარა. მოცეკვავე გოგონა სტუმრებმა მიახმეს.

—რა გქვია, რამდენი წლისა ხარ?—ეკითხებიან სტუმრები.

—მე ალდას მეძახიან, — მორცხვად უპასუხებს გოგონა. სახალხო დემოკრატიული გერმანიის წარმომადგენლებს აინტერე-

სებთ თბილისელი პიონერების ცხოვრება. ამიტომ ეწვივნენ ისინი პიონერთა სასახლეს, მის კაბინეტებს, ლაბორატორიებსა და სახელოსნოებს. ამიტომ ესაუბრებიან პიონერებს ასე გატაცებით მათს სწავლასა და შრომასზე.

ერთ-ერთმა სტუმართაგანმა, გვარად შტეინიცმა, თავისკენ მიიზიდა პატარა ალდა, მიეაღერა.

—შენ პიონერი ხარ? — შეეკითხა სტუმარა.

—დიახ, — მიუგო ალდამ და ამაყად უჩვენა მკერდზე დაბნეული პიონერული ნიშანი.

—იცი, ალდა, მეც მყავს შენსავით პატარა გოგონა. მას რენი ჰქვია, ისიც პიონერია, ისიც ატარებს პიონერთულ სამკერდე ნიშანს. მაგრამ მისი სამკერდე ნიშანი ცოტა განსხვავებულია. რენის ძლიერ უყვარს საბჭო-

თა პიონერები. ის ხშირად ოცნებობს თქვენზე. და როდესაც მან შეიტყო ჩემი აქ გამოგზავრების შესახებ, მთხოვა, ძალიან მთხოვა თქვენგან სახსოვრად მიამეტანა მისთვის... იცი, რა... თქვენი პიონერული სამკერდე ნიშანი...

აღდას თვალები გაუბრწყინდა.  
— მე კიდევ მაქვს პიონერული ნიშანი... ეს კი რენის წაუღეთ!  
მან მოიხსნა მკერდიდან მისთვის ძვირფასი პატარა ნიშანი და გადასცა სტუმარს შორეული მეგობრისათვის — გერმანელი პიონერის რენი შტიინიცასათვის.

გავიდა ხანი.  
პიონერთა სასახლემ საერთაშორისო ფოსტით პაკეტი მიიღო. პაკეტში ორი წერილი აღმოჩნდა. ერთი, უფრო მოზრდილი ბარათი, პიონერთა სასახლის აქტივის სახელზე იყო დაწერილი. ქალაქ ბერლინის ცელენდორფის რაიონის პიონერები თბილისელ პიონერებს სწერდნენ:

„ჩვენმა უფროსმა მეგობარმა პროფესორმა შტიინიცმა ბევრი საინტერესო რამ გვიამბო თქვენს სამშობლოზე, საბჭოთა პიონერების ცხოვრებაზე და გადმოგვცა თქვენი სალამი. ჩვენი გულითადი სურვილია დავამყაროთ მუდმივი წერილობითი კავშირი თქვენთან და ამით რაც შეიძლება უკეთ გავცნოთ საბჭოთა პიონერების ბედნიერ ცხოვრებას.

... გიგზავნით ჩვენს მისამართს და წანასწარ გვახარებს საბჭოთა მეგობრების შეძენა“.

წერილს ხელს აწერს ცელენდორფის ათი ნორჩი პიონერი: ინგრიდ გიუტცლავა, ვოლფგანგ დაიტრიდი, რენი შტიინიცი, პეტერ კუჟუცინსკი, იოსენ ფრენბერგი და სხვები.

მეორე ბარათი აღდას ეკუთვნის. მას რენი შტიინიცი სწერს:


„ძვირფასო მეგობარო აღდა, მაღლობელი ვარ პიონერული ნიშნისათვის, რომელიც მასამ ჩამოძიტახა. თქვენმა საჩუქარმა ძლიერ გამახარა. მეც, შენს მსგავსად, პიონერულ ყელსახვევს ვატარებ, მხოლოდ ჩემი ყელსახვევი, როგორც ყველა გერმანელი პიონერის ყელსახვევა, ლურჯი ფერისაა. შეხი საჩუქრის სახაცვლოდ მეც გიგზავნი გერმანულ პიონერულ სამკერდე ნიშანს. ჩვენ, ბერლინელი პიონერების ერთ ჯგუფს, ღილად გავგზავრებ, თუ ერთხელ მაინც მოგვწერ ბარათს. ძე ვოცნებობ თქვენთან შეხვედრაზე“. რენას ბარათი მთავრდება პიონერული მოწოდებით „იყავ მზად!“

პიონერთა სასახლის აქტივი დიდ დარბაზში შეიკრიბა. აქ მათ წაიკითხეს ბერლინიდან მიღებული ბარათები. პატარა აღდას, ბარათთან ერთად, გერმანული პიონერული ნიშანიც გადასცეს, შემდეგ კი საპასუხო წერილი შეადგინეს შორეული მეგობრებისათვის. თბილისელი პიონერები სწერდნენ გერმანელ პიონერებს თავისი საამური ცხოვრების შესახებ, იძის შესახებ, თუ როგორ ეუფლებიან ცოდნას, როგორ შრომობენ პატარა ხელებით, როგორ ცდილობენ გახდნენ საყვარელი საბჭოთა სამშობლოს ღირსეული შვილები. თბილისელი პიონერები ბერლინელ პატარა მეგობრებს წარმატებას უსურვებენ სწავლასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში და წერილის დასასრულს მოუწოდებენ:

— თავისუფლებისა და მშვიდობის დაცვისათვის იყავით მზად!

ასე დაიწყო თბილისელი და ბერლინელი პიონერების მეგობრობა, ასე დაახლოვა მრავალი ასეული კილომეტრებით ურთიერთს დამორებული პიონერები ორმა პიონერულმა სამკერდე ნიშანმა.

კლენე კლამე







## მიშა და მისი მეგობრები

პიონერებმა ისაუბრეს და ბანაკის ეზოში გამოვიდნენ. ხალისიან ბავშვებს ბუნების სიმშვენიერემ მეტი ხალისი შემატა. თამაში შოუხდათ. ერთმა ჯგუფმა ომობანას თამაში მოისურვა.

ჯგუფი ორ ბანაკად გაიყო: კორეელებად და ამერიკელებად. „კორეის ჯარის“ უფროსად მიშა დანიშნეს, ექიმად ირინე გაძოყვეს, ექთანად — მანანა. „ამერიკის ჯარის“ უფროსად ვახტანგი აირჩიეს. იგი სასტიკ უარზე იდგა, ჯერ ამერიკელობა არ უნდოდა, მერე თქვა: ომობანა არ მინდა, სხვა რამე ვითამაშოთ, მაგრამ ამხანაგებმა სახოვეს და, როგორც იქნა დაითანხმეს.

ვახტანგი შეუდგა ჯარისკაცების დაწყობას, მაგრამ შენიშნა, რომ აქ ბავშვები უფრო ცოტა იყო, ვიდრე კორეელთა ჯგუფში. ვახტანგმა სთხოვა პიონერთა ბანაკის ამხანაგებს მიეღოთ მასთან მონაწილეობა ომობანას თამაშში. ბოლოს შეავსო თავისი ჯარი საჭირო ჯარისკაცებით. მორთულობისთვის ყველას გააკეთებინა ქაღალდის წვეტიანი ქუდები, პირისაჩეები შეათხუპნინა სხვადასხვა ფერად, ნაწილს შარვლის ტოტები ზემოთ ააწვეინა, ვითომ სხვადასხვა ერის წარმომადგენლები იყვნენ.

დაიწყო ომობანა. გამარჯვების სურვილით ორივე ბანაკი ერთმანეთისაკენ იერიშით დაიძრა. აგერ ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა. რამდენიმე ბავშვმა ხელი იტყინა. თვითონ ვახტანგს რომელიღაც „კორეელის“ ფეხი მოხვდა მუცელში და კინაღამ გული შეუღონდა. გაბრაზებული ვახტანგი მივარდა მიშას და უსაყვედურა:

— ხომ გითხარი, ომობანა არ მინდა მეტი, მე ხომ არ მინდოდა ამერიკელობა ან ამე-

რიკელების სარდლობა! აბა, ვყოფილიყავი კორეის ჯარის სარდალი! შენააქვს კარგი გაქვს და ბიჭებიც კარგნი — ვეფხისტყაოსანი აბა, ესენი რას გამოიკეთებენ, როცა ძლივს დავითანხმე ჩემს ჯარში ყოფნაზე. მე კი შემეიკალით ხელში და...

გაოფლიანებული ბავშვები ერთმანეთს უყურებდნენ და იცინოდნენ.

ომობანას თამაში შეწყდა. მეომარი ბავშვები მშვანეზე დასხდნენ და დაისვენეს. ვახტანგი მაინც არ ისვენებდა:

— არა, ომობანა რა თამაშია, მით უფრო ჩვენთვის, პიონერებისათვის! ჩვენი სამშობლო — საბჭოთა კავშირი — მშვიდობის მედროშეა. მას ომი არ უნდა. იგი ღიღად აღმშენებლობას ეწევა. ჰოდა ჩვენი სხვა რამი უნდა გვეთამაშა. არა, მეც რა მრჯილა, „ამერიკის ჯარის“ სარდლობა რომ ვიკისრე!

— დამშვიდდი, ვახტანგ, — უთხრა ღიმილით მიშამ, — მართალია, ჩვენს ქვეყანას ომი არ უნდა, მაგრამ მტერი არ ისვენებს და ჩვენც მზად უნდა ვიყოთ. ამიტომ საჭიროა ზოგჯერ ომობანას თამაშიც.

— მიშა მართალს ლაპარაკობს, — წამოიძახა ირინემ. ვახტანგს უნებლიეთ სახეზე ღიმილის შუქმა გადაურბინა.

— მგონი, მიშა მართლაც მართალს ლაპარაკობს, — თქვა მან, — ყოჩაღ, მიშა, მაჯობე. ერთი იმით, რომ „კორეელთა ჯარის“ სარდლობა გხვდა წილად, მეორეც — რომ ასე კარგად მსჯელობ.

ამ დროს საიდანღაც ბაიანი გაჩნდა და ძალე ბანაკის ეზოში პიონერებმა ცეკვა გააჩაღეს.

### ლია ლეგუპაძე



— ხომ გითხარი, ომობანა არ გვინდა მეტი.



# ბეჯითი გოგონა

სიცოცხლით სახსე ბაღებში  
სურნელი იდგა მაისის,  
ნანული ნაცნობ ცაცხვის ქვეშ  
ჩამოჯდა ჩვეულ ხალისით.  
თვალეებში ღიმი ჩაუდგა,  
მზის ღიმილივით უცვლელი,  
გოგონას ბავით ამღერდა  
გაშლილი წიგნის ფურცელი.  
მზემ პირზე გადააყარა  
ოქროს სხივების ფანტელი,

სიამით აღვსილ პატარას  
გულში ჩაუნთო ნათელი.  
მნათობს შეხედა მოსწავლემ  
და ბავეს თრთოლვით წამოსცდა:  
„შენსავით პირმომცინარი  
შევხვდები პირველ გამოცდას.  
მზადა ვარ მეც ვასახელო  
ჩემი წარმტაცი მამული!“ —  
და სიხარულით აღვსილი  
სწავლას შეუდგა ნანული.

მელა კახიძე

...წიგნები მე სხვა ცხოვრებაზე მიჩურჩულებდნენ, უფრო ადამიანურზე, ვიდრე ის ცხოვრება იყო., რომელსაც მე ვიცნობდი... წიგნები მიმითითებდნენ ჩემს ადგილზე ცხოვრებაში, ალაფრთოვანებდნენ ჩემს გონებასა და გულს; ისინი დამეხმარნენ იმ დამპალ ქაობს ავშორებოდი, სადაც მე, უთუოდ, დაეიბრჩობოდი, გავიგუდებოდი სისულელითა და სიბინძურით. წიგნები სულ უფრო აფართოებდნენ ჩემს წინაშე სამყაროს საზღვრებს და იმის შესახებ მომითხრობდნენ, თუ რარიგ დიადი და წარმტაცია ადამიანი უკეთესისაყენ მისწრაფებაში, რა ბევრი რამ გააკეთა მან დედამიწაზე და რა გაუგონარ წამებად დაუჯდა ეს.  
...და ჩემი რწმენის ქეშმარიტების ღრმა დაჯერებით ვეუბნები ყველას: „გიყვარდეთ წიგნები, ის გაგიადვილებთ ცხოვრებას, მეგობრულად დაგეხმარებათ გერკვეთ აზრების, გრძნობების, მოვლენების კრელსა და ბობოქარ არევ-დარევაში, წიგნი გასწავლით პატივი სცეთ ადამიანსა და თქვენსავე თავს, იგი გონებასა და გულს ალაფრთოვანებს სამყაროსა და ადამიანისადმი სიყვარულის გრძნობით“.

მ. გოჩიაძე



# ო მ ა ნ ი ს

## მ ტ რ ე დ ე ბ ი



ნიმე აღნიშვილი

მხატვარი მ. დაუშვილი

### მ ო თ რ ო ბ ა

ჯერ ისევ ბინდი აწვა მიწას, როცა ომანს გამოეღვიძა. წამოხტა, ტანთ ჩაიცვა.

დღესაც აესწრო პაპა გიორგის. ბიჭმა სურით წყალი მოურბენინა. პაპამ პირი დაიბანა და ანკესების მომართვას მიჰყო ხელი, რადგან წინაღობით შეჰპირდა ომანს სათევზაოდ წაგიყვანო.

ომანმა ჯამში საკენკი ჩაყარა, ეზოში გავიდა; სამტრედესთან მიიბრინა და თავის თეთრ მეგობრებს კარი გაუღო.

— დოი... დოი... — უალერსებდა ბიჭი ფრთოსნებს და თან საკენკს უყრიდა.

მტრედები ფარფატით შემოეხვივნენ ომანს. ერთი აგერ მხარზე დააჯდა, მეორე — ხელზე, რომლითაც საკენკით საესე ჯამი ეჭირა ყმაწვილს.

— აბა, ჭკვიანად იყავით, ჩემო კარგებო, შორს არ გაფრინდეთ! მე და პაპა სათევზაოდ მივდივართ და მალე დავბრუნდებით, — ტიტინებდა ბიჭი. ფრთოსნებს თითქოს ესმოდათ ყმაწვილის ლაპარაკი და თანხმობის ნიშნად ღულუნებდნენ, ღულუნებდნენ განუწყვეტლად.

მალე პაპა და ომანი ტბისაკენ გაემართნენ.

ფერადი ყვავილებით ნაპირებდამშვენებული პატარა, ანკარა ტბა მშვიდად ირხეოდა, თითქოს საქანელაში ჩაუწვევიათო. შემოდგომას ოქროს ფოთლებით ხალიჩასავით დაექარგა მისი ლივლივა ზედაპირი.

პაპამ ანკესები გაშალა, ომანმა ნემსკავზე ჭიკაყვლები წამოაცვა და ანკესები ნაპირზე დაამაგრეს. ომანმა ძეწნის ქვეშ მოიკალათა, პაპა გიორგი კი ნელი ნაბიჯით გაემართა ზემოთ, გორაკისკენ, საიდანაც ფიქალი კლდის ლოდებისაგან ნაშენი ტაძრის ნანგრევი მწუხარედ გამოიყურებოდა.

ყელქედანა ბალახი მოსდებოა ნანგრევის ირგვლივ მინდორს. ტაძრის გვერდზე მიწაში სენაკის ბუხარშიც ბალახია ამოსული.

ტოტებდასხეპილი ბებერი მუხა ჭირისუფალივით დასცქერის ნანგრევს. წუხს ბებერი მუხა. მან თითქოს იცის, რა რიგ დაუნდობლად დაანგრის თურქებმა ქართველთა ხელით ნაშენი დიდებული ტაძარი, როგორ დააძსგავსეს ნაოხარს ქართველთა სოფლები. წუხს ბებერი მუხა და თურქებმაც მას თითქოს ამიტომ შესხეპეს ტოტები.

ტაძრის ნანგრევის ეზოში მოთამაშე გოგო-ბიჭები თავაზიანი ღიმილით მიეგებნენ პაპა გიორგის...

ცოტა ხნის შემდეგ ახოვანი, თეთრწვერა მოხუცი ირგვლივ შემომსხდარ ბავშვებს დინჯი, მაგრამ ნაღვლიანი ხმით უკითხავდა...

„სამშობლო, დედის ძუძუი

არ გაიცვლების სხვაზედა“...

ბავშვები იმეორებდნენ ნაკარნახევ სიტყვებს და ფარატინა ნაგლეჯ ქალღმერთზე მონღოლებით გამოყავდათ ქართული ასოები.

პაპა გიორგი ბავშვების დიდი მოყვარული იყო. ეს მარტოხელად დარჩენილი კაცი მზრუნველობას არ აკლებდა ობლად დარჩენილ თავის შვილიშვილს ომანს. უყვარდა მისი ამხანაგები, ცდილობდა თურქეთის ხელისუფალთაგან დაბეჩავებულ ყოველ ქართველ ბავშვში გაეძლიერებინა სიყვარული ქართული ენისადმი, ქართული კულტურისადმი. ჩუმად შეყრიდა ხოლმე პაპა გიორგი ბავშვებს და ესაუბრებოდა სამშობლოზე — თავისუფალსა და ბედნიერ საქართველოზე, მის აღამიანებზე, მის მშენებლებზე. განსაკუთრებული სიყვარულით ესაუბრებოდა სტალინზე.

დიდებული სანახავი იყო ამ დროს მოხუცი. თვალები ახალგაზრდული აღტაცებით უბრწყინავდა, სახეზე ნათელი ეფინებოდა.

ახლაც ბებერი რამ უთხრა პაპა გიორგიმ ტაძრის ნანგრევებში ფარულად თავშეყრილ ბავშვებს თავისუფალ საქართველოზე, ქარ-

თველთა წინაპრებზე, ისიც კი თქვა: ჩვენ-  
თვისაც გათენდებო.

— მე იქნებ ვერ მოვესწრო ამ ბედნიერე-  
ბას, — ამბობდა მოხუცი, მაგრამ თქვენ  
უთუოდ მოვესწრებით და გაიხარებთ.

— არა, შენც უნდა მოვესწრო, პაპა გიორ-  
გი! — უთხრეს ბავშვებმა. ამ გრძნობითა და  
იმედით დაიშალნენ. ცალ-ცალკე ფრთხილ-  
ლად დაეშვნენ სოფლისკენ მიმავალ ბი-  
ლიკზე, რომ რაიმე ეჭვი არ აეღო ქართვე-  
ლებზე გაბოროტებულ რომელიმე თურქს.

\* \* \*

პაპა გიორგი შეუმჩნევლად მიუახლოვდა  
ომანს, რომელიც დაფიქრებული იჯდა და  
გასცქეროდა ტბას — „ცრემლის ტბას“. „რა  
უცნაური სახელია, რატომ ერთხელ არ გვი-  
თხე პაპას? მას უსათუოდ ეცოდინება!“ —  
ფიქრობდა ყმაწვილი.

ომანმა თვალი შეასწრო, როგორ შეთრ-  
თოლდა ანკესი, და მისკენ გაექანა.

— უპ, რამოდენა თევზი დაუჭერია! —  
სიხარულით შეჰყვირა ბიჭმა.

— მართლაც დიდია! — დაუდასტურა პაპა  
გიორგიმ და ომანს გაუღიმა.

გახარებულმა ომანმა ანკესი თევზი მოა-  
შორა და წყლით სავსე პატარა კასრში  
ჩაუშვა. მალე მეორე ანკესიც შეინძრა... მე-  
სამეც... მეოთხეც... როცა პაპამ და შვილი-  
შვილმა დაჭერილი თევზები დააბინავეს და  
ანკესები ხელახლა ნაპირზე დაამაგრეს,  
ომანმა დრო იხელთა და ჰკითხა გიორგის,  
თუ რატომ ჰქვია ტბას „ცრემლის ტბა“.

— ოო, ეგ ძველი ამბავია, შვილო! —  
უთხრა პაპა გიორგიმ.

— მიაშბე, პაპა! — შეეხვეწა ომანი.

— ეს ამბავი, — დაიწყო პაპა გიორგიმ, —  
იმ დროს მოხდა, როცა წყეული თურქები  
პირველად შემოიჭრნენ საქართველოში. მე  
შენთვის წინათაც მიაშბნია, როგორ ააოხრეს  
მათ ჩვენი ლამაზი საქართველო... წვაგდნენ  
ქართველთა სახლკარს, ანადგურებდნენ ხე-  
ხილს, აჩეხეს ვაზი. იტაცებდნენ ქალებსა  
და ბავშვებს და ოსმალეთში მიჰყავდათ.  
მოტაცებულ ქართველებს იმსახურებდნენ  
როგორც მონებს. ბევრ მათგანს სტამბოლის  
ბაზარზე ყიდდნენ, და ვინ იცის, გაყიდული,  
უბედური ქართველი რომელ შორეულ ქვე-  
ყანაში მოხვდებოდა!

ჰოდა, აი, ერთხელ ქალ-ვაჟთა დიდი  
ჯგუფი მიჰყავდათ თურქეთისკენ. ამ ჯგუფ-  
ში ერია ერთი ქვრივი დედაკაცის ვაჟი —

ოთარი. დედა ბევრი ეხვეწა ქარავანის უფ-  
როსს — მეც თან წამიყვანეთ, გემსახურე-  
ბითო. გულქვა თურქებმა უბედურ დედას  
ხელი ჰკრეს, ახლო არ გაიკარეს. თურქებმა  
იცოდნენ, რომ შიმშილით დაოსებული, გა-  
ძვალტყავებული, ხანში შესული დედაკაცი  
ბევრს ვერაფერს გაუკეთებდა მათ. უბედურ  
ი დედა მაინც შორიახლო ფეხშიშველი  
მისდევდა ქარავანს. მისდევდა ტყესა და  
ღრეში, მშიერ-მწყურვალი, ოღონდ კი თვა-  
ლი მოეკრა თავისი შვილისთვის. ტანსაც-  
მელმემოგლეჯილს ჯაგები და ბუჩქები პი-  
რისახეს უკაწრავდა, ფეხები დაუსივდა,  
დაუსკდა, მაგრამ დედა იყო და მაინც წინ  
მიისწრაფოდა, მისტიროდა თავის შვილს,  
თავის დედისერთას.

თურქები კი, ცხენებსა და აქლემებზე  
შემსხდარნი, მოდიოდნენ და მოერეკებოდ-  
ნენ ქართველ ქალ-ვაჟებს. ამ ადგილს რომ  
მოაღწიეს, ძაღლონეგამოლეული დედა  
დაეცა, სიარული აღარ შეეძლო. ცრემლები  
მოსჩქეფდა თვალებიდან. ცრემლები გუბედ  
გროვდებოდა აქ, ამ ადგილას. გუბე ტბად



უბედური დედა მაინც შორიახლო ფეხშიშველი  
მისდევდა ქარავანს.



იქცა, რომელსაც ხალხმა ცრემლის ტბა დაარქვა.

ომანი ნადვლიანად დაფიქრდა.

პაპა გიორგიმ ტბას დახედა და წამოიძახა:

— გაიქე, ომანი! აგერ, მგონი, ანკესები შეინძრა.

\* \* \*

დეკემბრის დღია იყო. სოფლის მოედანზე გოგო-ბიჭები შეკრებილიყვნენ და ქორბახას თამაშობდნენ. მათი ყვირილ-ხივილი მღერმარე სოფელს აღვიძებდა.

ნახევრად მიწური, ფარღალა შენობის წინ, რომელშიც სკოლა იყო მოთავსებული, რამდენიმე მოზრდილი ბიჭი შეგროვილიყო და დინჯად საუბრობდა.

— ბიჭებო! — წამოიძახა ერთმა, — შექრიას ბიძა წუხელ სტამბოლიდან ამოსულა და უთქვამს: ოცდაერთ დეკემბერს სტალინის დაბადებიდან სამოცდაათი წელი უსრულდება და სტამბოლის ღარიბ მოსახლეობაში ამ დღის აღსანიშნავად მზადება არისო.

— აჰა, ეს კარგი რამ გავიგეთ! — თქვა ომანმა.

— მართლაც, მეტად საინტერესოა! — დაეთანხმნენ სხვები.

— ნეტავ, კიდევ რა თქვა შექრიას ბიძამ? — არ ისვენებდა ომანი.

— რა თქვა და ჩვენს მოძმე ქართველებსა და მთელ საბჭოთა ხალხს ბედნიერი ცხოვრება დიდმა სტალინმა შეუქმნაო!

— ნეტავ როგორი სახისაა სტალინი? — იკითხა პატარა ბიჭმა, რომელიც მეტად ღარიბულად იყო ჩაცმული.

— მე კი ვიცი!

ყველამ ამ სიტყვების მოქმელს შეხედა. ეს იყო მალალი, ხმელი ბიჭი. მას ჯემალს ეძახდნენ.

— საიდან იცი? — ყველა ერთხმად შეიკითხა მას.

ჯემალმა ბიჭებს გამომცდელი თვალით გადახედა. ხომ არავინ გვირეკია ისეთი, რომ გავეთქვასო. რომ დარწმუნდა ყველა სანდო იყო, განაგრძო:

— ჩემმა უფროსმა ძმამ ომანამ მაჩვენა. ჩემი ძმა გემზე მუშაობს უბრალო მეზღვეურად. პოდა სტალინის სურათი უშოვნია. ამასწინათ შინ რომ იყო, მაშინ მაჩვენა. გულისკანკალით ვუცქერდი ძმას ხელში, სანამ სურათს უბიდან ამოიღებდა. რომ დავინახე, გული გამინათდა: მშობლიური, ქართული სახე იცქირებოდა სურათიდან, იღიმებოდა ტკბილად, მამობრივად, თითქოს სადაცაა დაგელაპარაკებო.

— სურათი თან წაიღო? — უცებ წამოიძახა პატარა ბიჭმა.

— წაიღო! — გულდაწყვეტილ თქვა ჯე-

მალმა. — ალბათ ჩემი ძმაც მიიტებს. მონაწილეობას სტალინის დაბადების დღესთან ერთად წლისთავის აღნიშვნაში.

— სტალინის დაბადების დღე ჩვენც უნდა აღვნიშნოთ, — თქვა ომანმა.

ამ დროს ჭიშკარში სკოლის გამგე — მოლა შეძრვიდა. მის დანახვაზე ბიჭები ისე გაიფახტნენ აქეთ-იქით, თითქოს ჩიტებს ეთრძა ჩაძოქროლათ.

\* \* \*

გათენდა 1949 წლის 21 დეკემბერი. ომანი დიდიდახვე თავის თეთრ მტრედებთან ფუსფუსებდა. მეზობელ ქალს სუათას წითელი ჩითის ნაჭერი გამოართვა; მოგროო ოთხკუთხედებდა დაქრა და მერე ბიჭებისკენ გაექახა.

შუადღე იქნებოდა, როცა ტაძრის ნანგრევში მოგროვილ ბიჭებს ომანმა ღულუხა მტრედები დაურთვა.

ბავშვებმა მტრედებს ფეხებზე წითელი ჩითის ნაჭრები შეაბეს.

— აბა, ახლა კი დროა! — თქვა ომანმა.

ბავშვებმა მტრედები მალა ასწიეს და შვიდი მტრედი სტალინის დაბადების შვიდი ათეული წლის აღსანიშნავად ცაში აიჭრა. მათ ფეხებზე პაწაწინა წითელი ღროშები მომხიბლავად ირხეოდა.

ბიჭები ბილიკით თავქვე დაეშვნენ სოფლისაკენ. ამ დროს სოფლიდან სროლის ხმა მოისმა... ბავშვები შეშფოთდნენ. მოხვდნენ, რომ პოლიციელები მტრედებს ესროდნენ. ბავშვებმაც მეტი სიფრთხილე დაიკვირეს.

\* \* \*

— ეს სულ შენი ოინებია, ბებერო დორო! ამას ასწავლიდი ტაძრის ნანგრევში გოგო-ბიჭებს? — ღრიალებდა სოფლის მამასახლისი, რომელიც პოლიციელებთან ერთად მიეჭრა პაპა გიორგის ეზოში.

— სად არის შენი გაზრდილი ძაღლის ლეკვი? იმისი მტრედებია. სულს ამოვარამე, ჩემი ხელით დავაბრჩობ! კომუნისტობა მომინდომეთ?!

მთელი სოფელი გარეთ გამოფენილიყო. უყურებდნენ ცაში მსრბოლ თეთრ მტრედებს, რომელთაც ტყვია ვერ ეკარებოდა, თითქოს ისინი იმედის მაუწყებლად მოეკლინენ თურქეთის მონობაში მყოფ ტანჯულ ქართველებს.

პოლიციელები მოხუცს მისცივდნენ და მათრახებით ცემა დაუწყეს.

ხალხი ეზოს მიაწყდა.

— თქვი, სად არის ის მაწანწალა, გველის წიწილი? — ყვიროდა გამხეცებული მამასახლისი.

პაპა გიორგი კი ღუმიდა. ამ ღუმილმა უფრო გააცეცხლა მამასახლისი და ის იყო თო-



ფის კონდახი უნდა დაერთყა მოხუცისთვის, რომ ამ დროს ეზოში ომანი შემოიჭრა. ბიჭმა უმალ მამასახლისს მივარდა და კბილებით მარჯვენა მკლავში ჩააფრინდა. ტკივილისაგან გამწარებულმა მამასახლისმა ვერაფრით ვერ მოიშორა იგი. ვერც პოლიციელებმა მოაშორეს. მაშინ ერთმა პოლიციელმა თოფის კონდახი დაჰკრა თავში. ომანი შეტორტმანდა, სივრცეს უაზროდ მოაელო თვალი და მიწაზე დაეცა.

— ეს რა ქენით, სისხლისსმელებო, ეს რა ქენით?! — ამოიგმინა გამწარებულმა პაპა გიორგიმ, ომანი ხელში აიტაცა და მკერდში ჩაიკრა. მერე ფრთხილად დააწვინა ბალახზე, ბევრი ეფერა და უაღერსა.


ბიჭმა თვალები გაახილა.

— პაპა! მე ვხედავ სტალინს! ეს მე, მე მივულოცე მას დაბადების დღე...

ომანმა მეტის თქმა ვერ მოახერხა. იგი თანდათან ცივდებოდა.

მწუხარებით გაოგნებულმა პაპა გიორგიმ ვერც კი გაიგო, როგორ გაშორდნენ მამასახლისი და პოლიციელები.

მალლა კი დაფრინავდნენ იმედის მათუწყებელი თეთრი მტრედები პაწაწინა წითელი დროშებით.



## ბ ა რ ა თ ე ბ ი

სახით ვერ ცნობენ ერთმანეთს,  
ერთად არიან ოცნებით  
ჩვენი წარმტაცი სამშობლოს  
ენაქიკვიკა ფრთხინები,  
და ბარათებით უცნობებს  
აქვთ მშობა მტკიცე, მარადი...  
ქართველ ბავშვების სახელზეც  
ბევრი მოხუდა ბარათი,  
წერილს სწერს უკრაინელი,  
წერილს სწერს ვოლგისპირელი, —  
ძმობის ფერხულში ჩაბმულან

პატარა სწავლის გმირები.  
ახალ მშით გალაღებულნი  
და ახალი გზით მავალი  
წერილს სწერს ბავშვი უნგრელი,  
ჩინელი და სხვა მრავალი.  
და საქართველოს მალხაზებს  
ყველა ბარათით შენატრის:  
— „იქ ცხოვრობთ, ბედნიერებო,  
სადაც გაზრდილა ბელადი“.

პატივდილ სვანი





### 1. სვანეთის გზებზე



სი მთა გადავიარე,  
ზოგი ზეცამდე მაღალი,  
გულს იტაცებდა ბუნების  
სურათი ახალ-ახალი.

ორბელის გადასასვლელზე,  
როცა ღრუბლებთან ავედი,  
ვნახე, ლეჩხუმის მინდვრები  
ძირს ეგო, როგორც ხავირდი.

მურის ხიდიდან იწყება  
უკვე სვანეთის გზა-შარა,  
მანქანა მიქრის, თითქოსდა  
არწივმა ფრთები გაშალა.

ეს სილამაზე, არ ვიცი,  
ზღაპარია თუ იგავი;  
ორი საათის სვლის შემდეგ  
უკვე ლაშხეთში ვიყავი.

იქვე პატარა მუაში  
რა კარგი აგარაკია,  
მისი წყალი და ჰაერი  
სიჯანსაღისთვის კარგია.

ლატვარის მთიდან დაეხედე  
ზემო და ქვემო სვანეთსა,  
ალაგ კლდიან და თოვლიანს,  
ალაგ გაშლილს და მწვანესა.

მზეს ოქროსფერი სხივებით  
მოერთო აღმოსავლეთი,  
იდგნენ უშბა და თეთნულდი,  
როგორც გვირგვინი სვანეთის.

შორს ჩანდა სვანთა სოფლები,  
ზოგი მოსილი ქალარით,  
თითქოს ფიჭაა თაფლისა,  
კლდეზე ფუტკრების ნაყარი.

დგას ძველისძველი კოშკები  
წარსულის შავი ჩრდილებით,  
ვით ნაომარი გემები  
ზღვის გაღმა დარჩენილები.

ცას მიბჯენილი ცანის მთა,  
აილამა და ნამყვანი,  
ხევში ვეება ყინული —  
ცხენისწყლის ერთი აკვანი.

და ამნაირი სურათი  
არასდროს მქონდა ნანახი:  
ქვეშ წყალი, ზევით ყინული,  
ყინულზე მწვანე ბალახი.

აქ ზაფხული და ზამთარი  
ერთდამიშვე დროს არის;  
მისი დიადი ბუნების  
დახატვას უნდა მგოსანი.

მთის მწვერვალზე რომ თოვლი ძევს,  
მთის ძირში ყვავის შროშანი...  
კარგია, კარგი სვანეთი,  
მაგრამ ძალიან შორს არი!

## 2. შეხვედრა სვან პიონერებთან

**მ**ე მინდა თქვენ იყოთ ისეთი უღრეკი,  
როგორც სვანეთის მთებია;  
ქარიშხალს არღვევდეთ ვაჟაკაჯურ  
გულმკერდით,  
ვით კლდენი, ტალღებს რომ ებმიან.

სვანეთში ძველადაც ხომ იყო ეს მთები,  
მაგრამ მათ არ ჰქონდათ სინათლე,  
მდიდარი ბატონი, ლარიბი მინდვრები,  
ადათიკ ტანჯავდა წინაპრებს.

ველარ მოდიოდა ზევედაყრილ ბილიკზე  
ამბავი სამშობლო ქვეყნისა,  
მაგრამ ამოვიდა ოქტომბრის დიდი ნზე,  
სვანეთიკ განთიადს ეღირსა.

დაემხო ბატონი, მოისპო ადათი.  
მთაც შედრკა ვაჟაკის ძალასთან;  
ახლა იმ კლდეებზე მანქანა გადადის,  
ჯიხეებს რომ უჭირდათ გადასვლა.


ხომ ხედავთ ჩანჩქერზე ელექტროსადგურებს  
აქა-იქ ხევეებში ჩადგმულებს!  
სინათლე აჩუქეს უმზეო ადგილებს,  
სიბნელით დიდი ხნის ჩაგრულებს.



რამდენი დაეცა ბრძოლაში, ვინ იცის,  
სამშობლოს ეს მზე რომ ენახა.  
ახლა იფურჩქნება მთებშიც კომუნიზმი,  
რომლის ყვავილები თქვენა ხართ.

ახლა ხომ ეს მთები მეც მიყვარს სვანივით,  
დღეს გული ყველას აქ მოელტვის.  
გიყვარდეთ სამშობლო, გიყვარდეთ სტალინი  
და თქვენ გაიმარჯვებთ ყოველთვის!

ანდრო თიჯუაძე





სტალინგრადთან, რუსეთის დიდი მდინარის ვოლგის ქვემოთ, იწყება უსაზღვრო სტეპები. ძველთაგან ეს კასპიისპირა სტეპებია იტანჯებოდა ქარების, ბულისა და წყურვილისაგან. ზაფხულში აქ ვაციწვერებზე გადაიფლიდა „აზიური“ სიმშრალე. ძღაერ ქარს მოჰქონდა ცხელი ქვიშა. ამ დროს, თითქოს ღუმელი გაახურესო, ყველაფერი იხრკებოდა სიცხისაგან. სკდებოდა მიწა, იტრუსებოდა პურეული და ბალახი. ასეთა გვალვებითა და სიცხით საუკუნეების მანძილზე იტანჯებოდნენ მაწათმოქმედნი. აღამიანები დიდი ხანია ოცნებობდნენ იმაზე, თუ როგორ მოეკლათ სტეპების მიწისთვის წყურვილი ვოლგის წყლით.

მოწინავე რუსი აღამიანები ოცნებოდნენ, რომ ვოლგა დიდი არხით შეეერთებინათ წყნარი დონისათვის. ჯერ კიდევ პეტრე პირველის დროს სიანჯეს გაეყვანათ ასეთი არხი. მეთვრამეტე საუკუნიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე დამუშავებული იყო მრავალგვარი პროექტი ვოლგის შესაერთებლად დონთან. მაგრამ მეთის რუსეთში მსგავსი სამუშაოს შესრულება შეუძლებელი იყო.


ბუნების გიგანტური გარდაქმნა მხოლოდ საბჭოთა წყობილების დროს აღმოჩნდა შესაძლებელი. საბჭოთა აღამიანები ერთუზააზმით ახორციელებენ გენიალური სტალინური გეგმით საწყლოსნო გზების მშენებლობასა და რეკონსტრუქციას. გზებისა, რომლებიც შავისა და აზოვის ზღვებთან აკავშირებს თეთრ, ბალტიისა და კასპიის ზღვებს. დიდი ხანია აშენებულა თეთრი ზღვისა და ბალტიის ზღვის სტალინის სახელობის არ-

ხი და არხი მოსკოვის სახელობისა. ახლა შენდება ვოლგა-დონის დიდი არხი. ამ არხის სიგრძე 101 კილომეტრი იქნება, ხოლო შთელი ახალი საწყლოსნო გზა სტალინგრადიდან დონის როსტოვამდე — 540 კილომეტრი.

მაგრამ ვოლგა-დონის არხი არა მარტო გემებს გაატარებს, მას სხვა დიდი დანიშნულებაც ექნება. საწყლოსნო მაგისტრალიდან სხვადასხვა მხარეზე გაიშლებიან სარწყავი და განმანაწილებელი არხები. ამ არხებში გატარებული წყლით მოიწვეება სტეპების უსაზღვრო სიარცე სტალინგრადისა და როსტოვის ოლქებში. და იქ, სადაც მძვინვარებდა სამინელი ქარები და ჰაერს ცხელი ქვიშით ავსებდა, სადაც მკვდარი იყო მიწა, აყვავდებიან ბაღები, აღამიანები აიღებენ ხორბლის, ბამბისა და ბრინჯის უხვ მოსავალს.

მძღაერი ჰიდროელექტროსადგურები მოგვიტევენ ელექტრობას. კამლიანსკაიას წყალსაცავის, ამ თავისებური „ზღვის“ ნაპირებზე უკვე შენდება პორტები და გემთმისადგომები. სტეპებში გაჰყავთ გზება, იზრდება ქალაქები.

ვოლგა-დონის არხი აშენდება 1951 წელს, ორი წლით ადრე, ვიდრე გათვალისწინებული იყო პირველდაწყებითი გეგმით, — და 1952 წლის გაზაფხულზე, როდესაც დადნება თოვლი და ყინული, სტეპებში ერთმანეთს შეხვდება ვოლგისა და დონის წყალი. ორი დიდი მდინარის წყლის ამ შეერთებას მეოხებით შესაძლებელი იქნება მგზავრობა კომორტაბილოტი გემით მოსკოვიდან პირ-



სურ. 1.


დაპირ... სოჭასა და სოხუმში.  
მოსკოვი გახდება ხუთი ზღვის  
ნავსადგური.

ვოლგა-დონის არხი კომუნის-  
მის უდიდესი მშენებლობაა.  
მსოფლიოში არ ყოფილა მშე-  
ნებლობა, რომელიც ასე ფარ-  
თოდ ყოფილიყო მექანიზებული.  
აქ ადამიანები მართავენ ძალო-  
ვან სკრეპერებს, ტრაქტორებს,  
ბულდოზერებს. აქ გამოყენებუ-  
ლია საბჭოთა სამშენებლო ტექ-  
ნიკისა და მეცნიერების ყველა  
ახალი მიღწევა.

განსაკუთრებულ ყურადღებას  
იქცევს გიგანტი ექსკავატორი.  
ექსკავატორი-გიგანტი (იხილეთ სურათი 1)  
თავისი ვეებერთელა ციცხვით ერთბაშად  
14 კუბიკურ მეტრ მიწას იღებს. ეს მანქანა  
7 ათას მიწისმთხრელს ცვლის. მისი სიმაღ-  
ლე ცხრასართულიანი შენობის სიმაღლეს  
უდრის.

ასევე საინტერესოა მოსიარულე ექსკავა-  
ტორები.

მოთხრილი მიწის გადასაზად მშენებ-  
ლობაზე გამოყენებულია ძლიერი ტვირთსა-  
ზიდი ავტომანქანები. მათი სიდიდე რომ წარ-  
მოიდგინოთ, შეხედეთ, როგორ გამოიყურე-  
ბა სურათზე (იხ. სურათი 2) ასეთი ტვირთ-



სურ. 2.

საზიდი ავტომანქანის ბორბალი ჩვეულებ-  
რივი მსუბუქი ავტომანქანის „მოსკვირის“  
გვერდით.

ვოლგა-დონის არხის მშენებლობაზე დღე-  
ღამე წარმოებს შეუზღუდარი მუშაობა. იგე-  
ბა რაბები, კაშხალები, შენდება ჰიდრო-  
ელექტროსადგურები, პორტები და ქალა-  
ქები.

გაღვიძებულ სტეპებში ანთია კომუნის-  
მის დიადი მშენებლობის მაცოცხლებელი ცეცხ-  
ლი.

ე. რიპაჩიკოვი

## ყველაზე უდიდესი

ოდესღაც ეგვიპტის პირამიდებს უდიდეს  
არქიტექტურულ ძეგლებად თვლიდნენ, მაგ-  
რამ ყველაზე დიდ არქიტექტურულ ძეგლად  
ითვლება ე. წ. „ჩინეთის დიდი კედელი“  
(ჩინურად „ვან-ლი-ჩან-ჩენი“, ე. ი. 10.000  
ლი სიგრძისა).

ამ კედლის მშენებლობა დაიწყო მე-3  
საუკუნის დამლევეს ჩვენს წელთაღრიცხვა-  
მდე, ჩინეთის გამაერთიანებლის იმპერატორ  
ცინ შინ-ხუან-დის დროს, ჩინეთის საზღვრე-  
ბის დასაცავად.

კედლის მშენებლობა (ჩრდილო ნაწილი)  
მხოლოდ ჩვენი წელთაღრიცხვის XVI საუკ.  
დამთავრდა. ამ კედლის სიგრძე, დაახლოე-  
ბით, 2500 კილომეტრს უდრის, სიმაღლე —

10 მეტრს. ყოველი 200-250 მეტრის შემდეგ  
კედელზე აშენებულია საყარაულო კოშკი.  
კოშკების საერთო რიცხვი 10.000 აღწევს.

\* \* \*

ისტორიული ცნობების თანახმად, ჩინე-  
თის ერთ-ერთმა იმპერატორმა იანდიმ მონ-  
გოლებზე ლაშქრობის დროს იმდენად მოიწ-  
ყინა სამშობლოდან შორს ყოფნის გამო,  
რომ უბრძანა მხატვრებს დაეხატათ მისი  
მშობლიური ადგილების პანორამა. მხატვ-  
რებმა იმპერატორის ბრძანება შეასრულეს.  
მხატვრების მიერ დახატულ პანორამას სა-  
ლამოობით იმპერატორის ბანაკის გარშემო  
შლიდნენ. მისი სიგრძე ორი ათას ნახევარს  
უდრიდა ე. ი. ორ კილომეტრზე მეტი იყო.



# მეცნიერების მწვერვალებისაკენ

დედი რუსი ხალხის გენიალური მოაზროვნე, მსოფლიო მასშტაბის მეცნიერ-აკადემიკოსი, რუსული მეცნიერების ფუძემდებელი მიხეილ ვასილის ძე ლომონოსოვი ერთი პირველთაგანია, რომელმაც მეფის თვითმპყრობელობის მეტად მძიმე პირობებში სძლია მრავალი სოციალური დაბრკოლება და მეცნიერების მაღალი მწვერვალისაკენ ნარ-ეკლიანი გზით მტკიცედ და შეუპოვრად გასწია.

მიხეილი 6 წლისა იყო, როცა მას წერაკითხვა მეზობელმა ივანე შუბნოიმ დააწყებინა. პატარა მიხეილმა თავიდანვე გამოავლინა სწავლისადმი უდიდესი სიყვარული, ბეჯითობა და გასაოცარი მეხსიერება. იგი ხარბად დაეწაფა მისი დროის პოპულარულ ლიტერატურას. განსაკუთრებით შეიყვარა სმოტრიცკის „გრამატიკა“ და მაგნიცკის „არიომეტიკა“, რომელიც იმდროინდელი რუსეთის ფიზიკა-მათემატიკის ენციკლოპედიას წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ პატარა მიხეილი ძლიერ გატაცებული იყო წიგნების კითხვით, მას მეცადინეობისთვის პირობები თითქმის არ გააჩნდა. გაუნათლებელი მამა და ბოროტი დედიანაცვალი ყოველმხრივ ხელს უშლიდნენ მეცადინეობაში. 10 წლის ასაკიდან დაწყებული პატარა მიხეილი ყოველ ზაფხულსა და შემოდგომაზე მამას თევზის სარეწაოებზე დაჰყავდა თეთრსა და ჩრდილო ზღვებში. მცირეწლოვანი მიხეილი, თევზის სარეწაოებზე მუშაობის გარდა, მამას ხვნა-თესვაშიც ეხმარებოდა და ერთ ღროს ნავსაშენშიც კი მუშაობდა.

ცხოვრების ასეთი პირობები მას ბევრ დროს ართმევდა და მეცადინეობაში ხელს ძლიერ უშლიდა, მაგრამ ასეთი საძნელო მოგზაურობის მეოხებით ახაოაზრდა მიხეილი გაეცნო და ძლიერ დაინტერესდა ბუნების ისეთი მოვლენებით, როგორიცაა ზღვის ტალღების მოქცევა და უკუქცევა, ჩრდილოეთის (პოლარული) ნათება, მზისა და ვარსკვლავების მოძრაობა, ნისლისა და პოლარული ყინულების წარმოქმნა ზღვასა და ოკეანეებზე, ამინდის ცვალებადობა და სხვა. ბუნების აქ ჩამოთვლილ და სხვა საიდუმლოებათა გამორკვევის სურვილი მოსვენებას არ აძლევდა მას. მაგრამ აბა ვინ აუხსნიდა ბუნების ამ საიდუმლოებას? ასეთი აღამიანი მასთან ახლოს არავინ იყო.



მ. ვ. ლომონოსოვი

და აი, სწავლას მოწყურებული ჭაბუკი მზადაა დატოვოს მამა, საყვარელი დედის საფლავი, მშობლიური სოფელი, ტოლ-ამხანაგები, წავიდეს თუნდაც ძლიერ შორს, ოღონდ კი სწავლა-განათლება მიიღოს, ცოდნას დაეუფლოს.

გავიდა საკმაო დრო. ლომონოსოვს 19 წელი უსრულდება. მამას უნდოდა შვილი დაექორწინებინა, მაგრამ მიხეილს ეს არ სურდა, იგი პირველ რიგში სწავლა-განათლების მიღებასა და სამშობლოსთვის რაიმე სარგებლობის მოტანაზე ოცნებობდა. დედინაცვლისაგან მოშორებისა და ცოდნის შესაძენად სოფლიდან წასვლის სურვილი ახლა უკვე საესებით მომწითდა. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ხოლმოგორში ახლად გახსნილ სლავურ-ლათინურ სკოლაში მიღებაზე ლომონოსოვს, როგორც გლეხის შვილს, იმ დროს არსებული კანონის მიხედვით, უარი უთხრეს. მიხეილმა კატეგორიულად დააყენა საკითხი მამის წინაშე — მოსკოვს გაეგზავნა იგი ცოდნის შესაძენად. მამა პირველ ხანებში წინააღმდეგი იყო იმ საბაბით, რომ მიხეილი მისი ერთადერთი შვილი იყო და ეშინოდა, სიკვდილის შემდეგ მისი ვაი-ვაგლახით შექნილი ქონება სხვას არ დარჩენოდა. მაგრამ ბოლოსა და ბოლოს მიხეილმა მამისაგან თანხმობა მიიღო.

მიხეილ ლომონოსოვი 1730 წლის დეკემბერში 3 მანეთის ამარა, სმოტრიცკის „გრამატიკით“ და მაგნიცკის „არიომეტიკით“ ილიაში, მარხილის გზით, მეთევზე-



ებთან ერთად, ფეხით გამოემგზავრა მოსკოვისაკენ. არხანგელსკის გუბერნიიდან მოსკოვამდე მგზავრობას ლომონოსოვმა დაახლოებით ერთი თვე მოანდომა. მოსკოვში მოძებნა თანამემამულეები და მათი დახმარებით პირველად სასწავლებელი სკოლაში მოეწყო, მაგრამ რადგან აღნიშნულ სკოლაში იმავე მაგნიტკის „არითმეტიკას“ სწავლობდნენ, რაც შინელითა უკვე ზეპირად იცოდა, მას თავი დაანება.

ამის შემდეგ მას გადაწყვიტა ზაიკონოსკასკის მონასტერთან არსებულ სლავურბერძნულ-ლათინურ აკადემიაში შესულიყო, მაგრამ რადგან იქ გლეხის შვილის მიღება არ შეიძლებოდა, თავი აზნაურის შვილად გაასლა იმ იმედით, რომ შორეული არხანგელსკის გუბერნიიდან ჩამოსული გლეხის შვილის ვინაობას არავინ შეამოწმებდა. აკადემიაში ლომონოსოვმა მოძავალი გენიოსის ხიჭი გამოავლინა, ბეჯითი ძეცადინებით უდიდეს აკადემიურ წარმატებას მიაღწია. პირველი 3 წლის კურსი მან ერთ წელიწადში გაიარა და 8 წლის კურსი 5 წელიწადში დაამთავრა.

აკადემიაში ლომონოსოვი მეტად მძიმე ეკონომიურ პირობებში იყო. მას დღეში 3 კაპიკი ეძლეოდა. ნახევარ კაპიკს პურში ხარჯავდა, ნახევარს — ბურახში, ხოლო 2 კაპიკი ქაღალდის, ფეხსაცმლისა და სხვა საჭიროებაზე ეხარჯებოდა. ლომონოსოვი შიმშილობდა, რადგან ნახევარი კაპიკის პური მისთვის, როგორც ვაჟაკისთვის, სრულიად არ იყო საკმარისი. ამ ეკონომიურ გაჭირვებას თან ერთოდა ისიც, რომ პატარა ბიჭები, რომლებთანაც იგი იჯდა და მეცადინეობდა, ხშირად დაცინვით წამოიძახებდნენ ხოლმე: „ერთი შეხედეთ, ეს ოცი წლის აყლაყუდა ახლა მოსულა ლათინურის სასწავლად“. მიუხედავად მატერიალურად მძიმე და მორალურად დამამცირებელი პირობებისა, ლომონოსოვმა აკადემია მანაც არ მიატოვა, სწავლის მთელ მანძილზე პირველ მოსწავლედ ითვლებოდა და წარჩინებითაც დაამთავრა იგი.

1735 წლის 23 დეკემბერს მ. ლომონოსოვი 12 საუკეთესო მოსწავლეს შორის (მრავალი კი მათ შორის პირველი იყო) სპასკის აკადემიიდან პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულ უნივერსიტეტში მიავლინეს, სადაც მან დაახლოებით ერთი წელი დაჰყო. უნივერსიტეტში წარჩინებული წარმატების გამო 1736 წლის სექტემბერში მ. ლომონოსოვი საზღვარგარეთ გაგზავნეს, სადაც 5 წლის განმავლობაში სწავლობდა. მ. ლომონოსოვმა პირველ რიგში საფუძვლიანად შეისწავლა გერმანული და ფრანგული ენები (ლათინური და ბერძნული ენები ჯერ კიდევ მოსკოვში შეისწავლა), ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა, მექანიკა, ფილოსოფია, შემდეგ შეუდგა მეტალურგიისა და სამთო საქმის შესწავლას.

1741 წლის 8 ივნისს ლომონოსოვი პეტერბურგს დაუბრუნდა. ამ დროს იგი ყოველმხრივ განსწავლული და განვითარებული, 30 წლის ახალგაზრდა იყო.

ლომონოსოვმა მრავალი ახალი ფურცელი ჩაწერა მეცნიერების მატრიანეში. მან პირველმა მსოფლიოში ჩამოაყალიბა ნივთიერების წნის (მასის) მარადისობის კანონი და ქიმია ზუსტ მეცნიერებად აქცია; მან, 71 წლით ადრე დალტონამდე, დაამუშავა გაზების ატომისტური თეორია, ხოლო 100 წლით ადრე გერმანელ მეცნიერ რ. მაიერამდე განჭვრიტა ენერჯის მარადისობის კანონი, 100 წლით ადრე ჯოულსა და კლაუზიუსამდე წამოაყენა სითბოს მექანიკური თეორია, პირველმა აღმოაჩინა პლანეტა ვენერაზე ატმოსფეროს არსებობა და მრავალი სხვა. ამასთან ერთად ლომონოსოვი იყო თავისი დროის უდიდესი პოეტი და მხატვარი, მან შექმნა პირველი რუსული გრამატიკა.

### 3. გეგუჩაძე

საქართველოს სსრპ-ის პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი.



# ქართული ჰერალდიკა

ჰერალდიკა არის ყველა ხალხის სიმბოლიური ემბლემებისა და ნიშნების შემსწავლელი მეცნიერება. ეს ემბლემები და ნიშნები უძველესი დროიდან გამოხატავენ ადამიანთა რელიგიურ (საკულტო) და სახელმწიფოებრივ ნიშანს. ლერბებსა და დროშებზე სიმბოლიურად გამოხატული იყო ოლქები და ქალაქები, სამხედრო საბრძოლო ციხეები, ხელოსნურ-ამქრული გაერთიანებები.



1



2



3




4

სახალხო სიმბოლოებისა და მათგან გამოშდინარე ჰერალდიკის შესწავლით ჩვენ უფრო ახლოს ვეცნობით ხალხთა ისტორიულ ცხოვრებას უძველესი დროიდან ჩვენს დღეებამდე, როცა ჩვენი დიადი სოციალისტური სახელმწიფოს ჰერალდიკურ ემბლემას წარმოადგენს შრომის სიმბოლო—ნამგალი და ურო.

საქართველოს—ამ უძველესი კულტურისა და მეტად მდიდარი ისტორიის მქონე ქვეყანას—მრავალი საუკუნის უდიდესი ჰერალდიკური მემკვიდრეობა გააჩნია.

ბევრი ჰერალდიკური ემბლემა უძველესი დროისაა; მაგალითად, აფხაზეთში აღმოჩენილ დროშაზე თხის გამოსახულება იმის ნიშანია, რომ აქ ამ ცხოველის კულტი იყო გამეფებული ჯერ კიდევ უძველეს საუკუნეებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე; ღორისა და ფრინველის გამოსახულება სამეგრელოში ნაპოვნ დროშაზე დაკავშირებულია იმასთან, რომ მათი კულტი ჰქონდათ ქართველებს.


ქართული ჰერალდიკის წყაროთა სათავეები მოდის ჩვენს წელთაღრიცხვამდე X—VIII საუკუნეების პერიოდიდან, ე. ი. ბრინჯაოს ხანიდან. მკვლევრისათვის დიდ მასალას იძლევა ამ პერიოდის ჩვენამდე მოღწეული ძეგლების სიმდიდრე და მრავალფეროვნება. ქართული ჰერალდიკური ძეგლებიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ორთავიანი არწივის ემბლემა. უძველესი სახეობა ასეთი არწივისა ჰქონდათ ხეთებს—ქართველი ხალხის წინაპრებს. საინტერესოა აგრეთვე ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების სიმბოლიკა. ყურადღებას იქცევს ფულის ნიშნებზე გამოხატული ორი ნუმიზმატიკური კომპოზიცია სამახვერპლოთი და მცველებით, აღინდეღი ქრისტიანული პერიოდის ტაძრების: ბოლნისის,




5 6



7



8



9

მცხეთის ჯვრის, სამწევრისის რელიეფები მათი სიმბოლიკებით, ხარები, რომელთა თავზე ჯვარია გამოსახული, გველები, რომლებიც დაკავშირებულია წარმართობის უძველეს კულტებთან და მრავალი სხვა.

ფეოდალური საქართველოს დროის ჰერალდიკური სიმბოლიკებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა თამარ მეფის ეგრეთწოდებული „ნიშანი“ (XII საუკუნე), საქართველოს ლეობი (XVIII საუკუნე).

ძველი პერიოდების ქართული ჰერალდიკის შესასწავლად დიდი მნიშვნელობა აქვს კავკასიისა და ამიერკავკასიის ტერიტორიებზე წარმოებულ არქეოლოგიურ გათხრა-ძიებებს.

ქართული ჰერალდიკის შესასწავლად მეტად კეთილ-შობილური როლი შეუძლიათ შეასრულონ სოფლის და ქალაქის ახალგაზრდებს, პიონერ-მოსწავლეებს. მათ შეუძლიათ გამოიკვლიონ, შეისწავლონ თავიანთი რაიონის, სოფლის უძველესი ძეგლები, გადაიღონ მათგან ფოტოასლები ან გადახატონ ისინი მათზე გამოსახული ყველა დამახასიათებელი ნიშნით. ამით ახალგაზრდობა ხელს შეუწყობს ჩვენი ბედნიერი სამშობლოს, ჩვენი ხალხის ისტორიული წარსულის შესწავლას.

აქვე მოგვყავს ქართული ჰერალდიკის ზოგიერთი ნიმუში (იხილეთ ნახატები):

1) უძველესი ხეთური გრიფონი (XX საუკ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე), 2) დრაკონი-მგელი (XIII ს. ჩვ. წ. ა.), 3) ხეთების ორთავიანი არწივი, 4) ლომი — კოლხების ემბლემა (VI ს. ჩვ. წ. აღრიცხვამდე), 5 და 6) ნიშნები არაზის ბილინგვიდან (I ს. ჩვენი წელთაღრიცხვისა), 7) „ნიშანი თამარ მეფისა“ (XII საუკუნე), 8) მესხეთის ათაბაგის ყვარყვარე ჯაყელის ემბლემა (XV ს.), 9) ვამეყ დადიანის (პირველი) ემბლემა (XIV ს.), 10) მეფე ვახტანგ მეექვსის ღერბი (XVIII ს.).



10.

ი. ვაღბოლსკი

## რამდენი წლისაა ვარსკვლავები

ზოგი ვარსკვლავი ახალგაზრდაა, ზოგი კი მოხუცია. შესაძლებელია თუ არა გავიგოთ მათი ხნოვანება, რომელიც ზოგჯერ მილიონ და მილიარდობით წლებს აღწევს?

სწავლულები საკმაოდ ზუსტად ზომავენ დროის უზარმაზარ შუალედებს. ციური სხეულების სიციცხლის ხანგრძლიობა განისაზღვრება მათი შემადგენლობით, რომელიც დროის განმავლობაში გარკვეული სიწრაფით იცვლება.

ვარსკვლავების ენერჯის მთავარი წყარო არის ატომური ენერჯია.

როდესაც ტელესკოპებს ვარსკვლავებისაკენ მიმართავენ, ასტრონომები გულდასმით განსაზღვრავენ მათ თვისებებს: სიდიდეს, წონას, სიჩქარეს და მოძრაობის მიმართულებას, სიკაშკაშეს და ქიმიურ შედგენილობას...

ამისათვის არსებობს კარგად დამუშავებული მეთოდები. კერძოდ, ციური სხეულების შედგენილობა განისაზღვრება სპექტრული ანალიზით, რომელიც დამყარებულია იმაზე, რომ ყოველი ნივთიერება ნათების დროს იძლევა მხოლოდ მისთვის დამახასია-

თებელ შუქურ სპექტრს, ისევე, როგორც წიონის, არგონის ანდა ვერცხლისწყლის ორთქლით მნათი ტრანსპარანტები.

ახალგაზრდა ვარსკვლავის ნივთიერების სიმკვრივე ჩვეულებრივ იმცირეა, ბევრ წყალბადს შეიცავს.

ვამკვრივების პროცესის განსაზღვრულ ეტაპზე ვარსკვლავის შიგნით იქმნება ხელსაყრელი პირობები ჰელიუმში წყალბადის სინთეზის შუშხუნა რეაქციისათვის.

მაშინ იწყება წყალბადის სინთეზი ჰელიუმში, რაც ვარსკვლავის ხურებას იწვევს. ვარსკვლავი ხელახლად ინთება. იწყება ვარსკვლავის მეორე ახალგაზრდობა.

ამგვარად, რაც უფრო მეტი ხნისაა ვარსკვლავი, მით უფრო ნაკლებ წყალბადს შეიცავს და მით უფრო მეტია ჰელიუმი. ამ ნივთიერებათა რაოდენობის შეფარდებისა (რომელიც სპექტრული გაზომვით განისაზღვრება) და წყალბადისა და ჰელიუმის სპექტრების შედარებითი სიკაშკაშის მიხედვით შეიძლება გიმსჯელოთ ამა თუ იმ ვარსკვლავის ხნოვანების შესახებ.





## ტყე აღამიანის მემობარია

საბჭოთა კავშირი მდიდარია ტყეებით, რომელთა ფართობი დაახლოებით 800 მილიონ ჰექტარს უდრის. ჩვენს ქვეყანას ტყის ფართობის სიდიდით პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში.

მაგრამ აღსანიშნავია ის, რომ ტყეები თანაბრად არ არის განლაგებული საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. მათი უმეტესი ნაწილი ჩრდილოეთსა და ციმბირშია; სამხრეთი და შუა აზია ღარიბია ტყეებით. არის ისეთი ადგილები, სადაც ტყე სრულებით არ მოიპოვება. დიდი სტალინის მითითებით ასეთ ადგილებში წარმოებს ახალი ტყეების გაშენება.

საქართველო მეზობელ რესპუბლიკებთან — აზერბაიჯანთან და სომხეთთან — შედარებით მდიდარია ტყეებით. ტყის ფართობი ჩვენში დაახლოებით 2 მილიონ ჰექტარზე მეტს უდრის. ამასთან მცენარეთა სახეობები აქ ბევრად უფრო მრავალნაირია, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანაში. საქართველოში მოიპოვება დაახლოებით 360 სახედასხვა სახის ხე და ბუჩქი, რომელთა შორის ბევრი ძვირფასი და იშვიათი ღირსებისაა, როგორც, მაგალითად: ბზა, უთხოვარი, კაკალი, წაბლი, ბოყვი, ძელქვა რკინის ხე, ევკალიპტი და ბევრი სხვა.

ტყე ქვეყნის სიმდიდრეა, იგი იძლევა საშენ და საწვავ მასალებს, საღებავს, სპირტს, ძმარს, ნახშირს, ხილს, ქაღალდს, კაუჩუკს, სამკურნალო ნივთიერებებს, აბრეშუმს, შაქარს და სხვა ასეთს.

მარტო ამით არ ამოიწურება ტყის სარგებლობა. ტყე გვალვის, მეწყერისა და წყალდიდობისაგან დაცვის საუკეთესო საშუალებაა. იგი ასუფთავებს ჰაერს. ამავე დროს ტყე ქვეყნის სილამაზაა. საქართველოს ბუნებას

ტყეები ამშვენებს. აქ მთები დაფარულია მშვენიერი ფოთლოვანი და წიწვოვანი ტყეებით. სწორედ ჩვენს ტყეებს უნდა ვუმადლოდეთ, რომ საქართველო მდიდარია კურორტებით, სამკურნალო წყლებით და მჩქევარე მდინარეებით.

საქართველოს ტყეებში ბევრია გარეული ცხოველი: ირემი, შველი, არჩვი, ღორი, კვერნა, წავი და სხვ.

ამიტომაც, რომ ჩვენი პარტია და ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ტყის მოვლა-განვითარებისა და დაცვის საქმეს. ამისათვის ტარდება ჩვენში ყოველწლიურად „ტყის დღე“.

იქ, სადაც ტყე იჭრება, აუცილებლად უნდა შევქმნათ ახალი ტყის აღმოცენების პირობები. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ტყის გვემიან ჭრას, რათა ხელი შევეწყუთ ახალი ტყის ზრდა-განვითარებას.

საქართველოს ტყეები უმთავრესად შეფენილია მთების კალთებზე, ამისათვის ამ ტყეებს უადრესად ნიადაგდაცვითი, წყალშემნახველობითი მნიშვნელობა აქვს. ასეთ ადგილებზე ტყეების არაწესიერად ჭრას დიდი ზიანი მოაქვს: მიდამო შიმვლდება, მოტიტვებულ ადგილას თოვლი ერთბაშად დნება და ნიაღვარი დიდი სისწრაფით ეშვება ბარისაკენ, აზიანებს სახნავ-სათეს მიწებს. ტყით დაფარულ ადგილებზე კი თოვლი თანდათანობით დნება და, ამრიგად, ძლიერი ნიაღვრების წარმოქმნაც არ ხდება.

საქართველოში ყოველწლიურად ხელდასწრად შენდება რამდენიმე ასეული ჰექტარი ტყე და ამასთან ხელი ეწყობა ტყის ბუნებრივ აღმოცენებას.

### 3. ნაკითხი



# გ ა ს ა რ თ ო ბ ი

## გაქვავებუდი ირემი

სანადიროდ წასულიყვნენ სამნი ძმანი: ამირანი, ბადრი და უსუპი. ასინი ღამით ნადირობისათვის ემზადებოდნენ, — უღრან ხეობაში გაშალეს კარავი, გასინჯეს მორკალური მშვალდები და მჭრელი, ბასრი ისრება.

ცა ფერმკრთალი ვარსკვლავებით იყო მოჭედული, ამიტომ ძმებმა გადაწყვიტეს, დილადანვე დაეწყათ ნადირობა.

როდესაც იისფრად ირიჟრაჟა, ძმებმა

დასტოვეს ხეობა, გადაიარეს ცხრა მთა და მიადგნენ ალგეთის მთას.

აქ ბადრი ნადარის კვალს წააწყდა. უსუპმა ურჩია ძმებს, რომ კვალს გაჰყოლოდნენ. მშვილდ-ისრები მოიმარჯვეს და ფრთხილად მიჰყვნენ კვალს.


უეცრად, ძმებს ღამაში, ფეხმარდი ირემი წამოუხტათ. სამივემ სტყორცნა ისრები. სასიკვდილოდ დაჭრილი ირემა განაგრძობდა სირბილს. ამირანი ძმებზე მარდი იყო, ფეხდაფეხ გაეკიდა ირემს, მაგრამ ირემი ფრიალო კლდიდან გადაეშვა.

ამას დაერთო მიწისძვრაც... მთის კალთა გრიალით ჩაწვა ხეობაში და ირემიც გაუჩინარდა. გოცებუდი ამირანი დაბრუნდა ძმებთან...

...მას შემდეგ მრავალმა საუკუნემ განვლო... და აი, ჩვენმა არქეოლოგებმა მიწის წიაღის გათხრის დროს გაქვავებული ირემი აღმოაჩინეს.

ბავშვებო! იპოვეთ ნახატზე გაქვავებული ირემი.

ქართლოს კანსრაძე



## გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

1. უჩინარია თვალთ, სახლში იჭრება ძალით.
2. მთესავენ და მრგავენ, მომიყვანენ, — მწვანენ.
3. ათნი ძმანია, ათნივეს შრომისთვის უძგერთ გულები, სიამტკბილობით ცხოვრობენ, ერთმანეთს შეფიცულები.
4. მიდი-მოდის ერთი რამე, იქვე კი დგას დღე და ღამე.

ალ. საჩინოელი

## პასუხები ჟურ. „კომუნის“ № 2-ში მოთავსებულ ამოცანა-გასართობებზე

ამოცანა „იპოვეთ ოთხი რიცხვი“-ს საერთო პასუხია 42. აქედან პირველი საპოვნო რიცხვი იქნება 49, მეორე-35, მესამე-294, მეოთხე-6.

ამოცანა „საიდან გაჩნდა მეოთხე ფორთოხალი?“. ორი მამა და ორი შვილი სინამდვილეში სამი აღამიანია — პაპა, შვილი და შვილიშვილი.

გამოცანები: 1. ნემსი, 2. ჯაგრისი.

თავსატეხი „დაწვევებილი ძეწკვი“. ძეწკვის ერთ-ერთი ნაწილის სამივე რგოლს გავჭრით და ამ რგოლებით ძეწკვის დანარჩენ ნაწილებს შევებერთებთ.



# ქ ა რ ა კ ი

## მსოფლიო პირველობისათვის

მსოფლიო ჩემპიონობისათვის ბრძოლა ჭადრაკში მე-19 საუკუნის სამოციანი წლებიდან მომდინარეობს. სხვადასხვა დროს მსოფლიო ჩემპიონები იყვნენ: სტეინიცი, ლასკერი, კაპაბლანკა, ალიოხინი, ნივე, ისევ ალიოხინი.

1948 წელს მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვა საბჭოთა გროსმაისტერმა მიხეილ ბოტვინიკმა.

საერთაშორისო საქადრაკო ფედერაციის გადაწყვეტილებით მსოფლიო ჩემპიონობისათვის მატჩი შედგება ყოველ სამ წელიწადში ერთხელ. მსოფლიო ჩემპიონთან თამაშის უფლება ეძლევა იმ მოჭადრაკეს, ვინც გაიმარჯვებს შესარჩევ ტურნირში.

საბჭოთა ახალგაზრდა გროსმაისტერმა დავით ბრონშტეინმა მოიპოვა ამის უფლება.

თამაშის პირობები ასეთი იყო: თუ მატჩი ფრედ დამთავრდება, ბოტვინიკი შეინარჩუნებდა მსოფლიო ჩემპიონის წოდებას.



მიხეილ ბოტვინიკი

\* \* \*

მიმდინარე წლის 15 მარტს დაიწყო ორი უძლიერესი მოჭადრაკის მსოფლიო ჩემპიონ მიხეილ ბოტვინიკისა და გროსმაისტერ დავით ბრონშტეინის მატჩი მსოფლიო პირველობისათვის — ჭადრაკში. მატჩი შედგა მასკოვში და დიდი სპორტული ინტერესი გამოიწვია. არც ერთ მოწინააღმდეგეს არ ჰქონია მატჩში ერთ ქულაზე მეტი უპირატესობა.

პირველი თვრამეტი შეხვედრის შედეგად ანგარიში თანაბარი იყო. თითოეულ გროსმაისტერს ჰქონდა სამსამი გამარჯვება და თორმეტი ყაიმი.

მე-19 პარტიაში ბოტვინიკმა გაიმარჯვა, ხოლო მე-20 პარტიაში ვერც ერთმა მოწინააღმდეგემ ვერ მოიპოვა უპირატესობა. 22-ე შეხვედრის შედეგად ანგარიში შეიცვალა, იგი გახდა 11 1/2: 10 1/2 ბრონშტეინის სასარგებლოდ.

23-ე პარტიას ბრონშტეინი მშვიდად თამაშობდა. ყაიმის მისაღწევად მრავალი ფიგურა შესწირა და პარტია წააგო.

უკანასკნელი, 24-ე პარტია შედგა 11 მაისს და დამთავრდა ფრედ, ანგარიშით 12: 12. მატჩის პირობების მიხედვით მსოფლიო ჩემპიონობა ჭადრაკში შეინარჩუნა მიხეილ ბოტვინიკმა.

## შ ი ნ ა ა რ ს ი


შრომისა და მშვიდობის ზეიმი (წერილი)	ბჟ.	5.	აღწიწილი—თმანის მტრედები (მოთხრობა)	ბჟ.
ვ. ლაფერაშვილი—ჩვენთან არის (ლექსი)	1	ა.	სვანი — ბარათები (ლექსი)	18
დ. მეგრელიძე—ძვირფასი სახელი (მოთხრობა)	2	ა.	თევზაძე—სვანეთში (ლექსი)	21
ვ. გოგოლაშვილი—საბჭოთა მეგრძოლებს (ლექსი)	3	ე.	რიაზიოკოვი—ვოლგა შეხვედრა დონს (წერილი)	22
ქ. ლოლაძე—სწავლასა და შრომაში (ნარკვევი)	5	ვ.	გეგუჩაძე — მეცნიერების მწვერვალებისაკენ (წერილი)	24
ვ. ყურული — მასწავლებელი (ლექსი)	6	ი.	ვადბოლსკი—ქართული პერალდია (წერილი)	26
ნ. სიდორენკო — ოჯი კერა (ლექსი. თარგმანი ვ. ბაიადისა)	8	ვ.	წერეთელი — ტყე (წერილი)	28
ლ. ქიქიაძე — ნამდვილი მეგობარი (მოთხრობა)	9	ვ.	გორგანელი—ცხრა მაისის დილა (ლექსი)	30
გ. ლეჟავა — საზეიმო დილა (ლექსი)	10			
ე. აგლაძე — ორი პიონერული სამკერდე ნიშანი (ნარკვევი)	13			
ლ. დგებუაძე — მიწა და მისი მეგობრები	14			
მ. კახიძე—ბეჯითი ვოგონა (ლექსი)	15			
	17			

რედაქტორი ბ. ძ ბ ზ ნ ი ძ ი. სარედაქციო ვოლუგია: ე. აბლაძე, დ. გვრიტიშვილი, ვ. მარდიაშვილი, გ. თაზუიშვილი, მარკიანნი, მ. მირიანაშვილი, ო. ნემსაძე, ზ. შენგელია. პასუხისმგებელი მდივანი ვ. თორდუშა. გამსაფრთხილებელი რედაქტორი ბ. ფოცხიშვილი.


რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელ. 3-81-85

უფ. 02820 ტირაჟი 7500 გამომცემლობის შეკვ. № 183 სტამბის შეკვ. № 632

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14 ყურნალის გარეკანი დაბეჭდილია, ხარია ვოსტოკას ოფსეტ-მანქანაზე.



# ჩვენი კალენდარი



## 7 მაისი

ოცდაცხრამეტი წლის წინათ, 1812 წლის 5 მაისს, გამოვიდა ბოლშევიკურ გაზეთ „პრავდის“ პირველი ნომერი, „პრავდისა“; რომელიც მთელი საბჭოთა პრესის მედროშეა. მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელთა უსაყვარლესი გაზეთი, პარტიის მებრძოლი ორგანო „პრავდა“ დაარსეს ვ. ლენინმა და ი. სტალინმა. ამ გაზეთის დაარსებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ოქტომბრის რევოლუციის მომზადების საქმეში. „პრავდა“ განამტკიცებდა ბოლშევიკურ ორგანიზაციებს, რაზმავდა მშრომელთა მახებს. „პრავდა“ კომუნისტების ბრძოლის მძლავრი იარაღია.

ამ მებრძოლი გაზეთის დაარსების აღსანიშნავად მისი პირველი ნომრის გამოსვლის დღე — 5 მაისი — გამოცხადდა ბოლშევიკური პრესის დღედ. მას შემდეგ ჩვენში ყოველწლიურად ტარდება ბექდვითი სიტყვის დღე.

პრესა საბჭოთა კავშირში და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში ნამდვილად თავისუფალია, იგი მშრომელთა მახებს, ხალხს ემსახურება. აქ პრესისთვის, ბექდვითი სიტყვისთვის გამოყოფილია საუკეთესო შენობები, სტამბები, ქაღალდი, ყველაფერი, რაც კი საჭიროა გაზეთის, ჟურნალის, წიგნის გამოსაცემად. ჩვენში პრესა მშრომელთა ინტერესებს ემსახურება. კაპიტალისტურ ქვეყნებში კი არ არის ბექდვითი სიტყვის თავისუფლება.

საბჭოთა ქვეყანაში უამრავი საბავშვო ჟურნალი, გაზეთი და წიგნი გამოდის. ნორჩ თაობას პრესა კომუნისტური სულისკვეთებით ზრდის.

## 7 მაისი

რადიო დამკვიდრდა საბჭოთა ხალხის ყოფაცხოვრებაში. ჩვენი ქვეყნის რომელ მხარეში, რომელ კუთხეში გინდათ, რომ მისი ხმა არ ისმოდეს. რადიოტექნიკამ თავისი განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია საბჭოთა კავშირში. ჩვენ ახლა არათუ გვესმის შორეული გადმოცემები რადიოს მეშვეობით, არამედ ტელევიზორი მიმღების საშუალებით ვხედავთ კადრებს რა ხდება ჩვენგან შორს — ვთქვათ, სხვა ქალაქში. რადიო ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო და უფრო ვითარდება. მას პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ. ჩვენში არის ყველაზე მძლავრი რადიოსადგურები, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აგებული რადიოაპარატებისათა ქარხნები.

მთავრობის დადგენილებით საბჭოთა კავშირში ყოველწლიურად 7 მაისს ტარდება რადიოს დღე.

ეს მარადსახსოვარი თარიღი დაკავშირებულია დიდი რუსი მეცნიერის ა. პოპოვის სახელთან. 55 წლის წინათ, 1895 წლის 7 მაისს, პოპოვმა სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების წევრებს უჩვენა მის მიერ გამოგონებული, მხოფლოიში პირველი რადიოსადგური, რომელიც სიგნალებს გადასცემდა. ეს იყო ახალი უდიდესი სიტყვა ტექნიკაში.

ჩვენ ვამაყობთ, რომ დიდი რუსი პატრიოტი მეცნიერის გამოგონებამ თავისი განვითარება-გაუმჯობესების ესოდენ მაღალ მწვერვალებს მიაღწია ჩვენს დიდ საშობლოში. საბჭოთა კავშირში.



## 9 მაისი

მრავალი, მრავალი სასიხარულო დღე ახსოვს საბჭოთა ხალხს; სიხარულის ძლიერი გრძნობა არა ერთხელ გამოუცდია მას თავისი შრომისა და ბრძოლის დროს მიღწეულ გამარჯვებათა შედეგად. მაგრამ აბა რა შედეგებოდა იმ სიხარულს, რაც საბჭოთა ხალხმა განიცადა ამ ექვსი წლის წინათ — 1945 წლის 9 მაისს.

ეს სიხარული ჩვენს ხალხს მიანიჭა მშობლიურმა დიდმა სტალინმა. სტალინმა მიგვაღწევინა გამარჯვებისთვის ფაშისტურ გერმანიაზე, რომელმაც თავს მოგვახვია ომი. ჰიტლერულ გერმანიასთან საბჭოთა ხალხის დიდი



სამამულო ომი იყო ძანამდე გაუგონარი ძალის ომი. ამ ომმა თავისუფლებისათვის ბრძოლაში, ოთხ წელიწადს გასტანა. მრავალი საბჭოთა მებრძოლი დაეცა, მრავალმა გმირმა შესწირა თავი საბჭოთა სამშობლოს ბედნიერებასა და კეთილდღეობას. ამ ოთხწლიან სამკვდრო-სასიცოცხლო ომში მრავალი ქალაქი დაინგრა, მრავალი სოფელი გადაიწვა. მაგრამ გენერალისიმუს სტალინის წინამძღოლობით საბჭოთა ხალხმა გაანადგურა ფაშისტური ურჩხული და დიად გამარჯვებას მიიღწია.

9 მაისი ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღეა.

ექვსი წელი გავიდა ამ გამარჯვების დღიდან. აღდგა ომში დანგრეული მრავალი ქალაქი, ხელმეორედ აშენდა ომში მტრების მიერ გადაბუღული მრავალი სოფელი. საბჭოთა ხალხი დიდი სტალინის მეთაურობით სწრაფად იშუშებს ომით მიყენებულ ჭრილობებს და მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომით მიდის წინ, კომუნისტისკენ.

19) ...  
პრ ნაწილს ნაწილად

16036730  
გეგმობილია

